# ცისკარი

**1863**

ოკტომბერი.

## წელიწადი მეშჳდე.

წოდება თხზულებათა:


I — განცხადება, . . . . . . . რედაქციისა.
სიტყუა, თქმული ჯვარის ამაღლე-ბის დღეს. . . . . . გაბრიელ ეპისკოპოზისა.
ავაზაკი ხოზე (მოთხრობა.) გ. დიდებულიძისა.
II — სალ... ბეჟანის მაგიერ. (ლექსი.) თ. გრ. ორბელიანისა.
—ამაოება. . . . . . . . თ. ალ. ჭავჭავაძისა.
—ჩემი ლოცვა . . . . . . კნ. ბარ. ჯორჯაძისა.
—კიდევ ლექსები. . . .
III — გარმიის მონასტერი (ისტ. მას.) თ. [illegible]იანისა
IV — რანჩევსკის ლექციები. (დასასრული.) თ. [illegible]ს. [illegible]ბელისა.
V — ორიოდე სიტყვა რანჩევსკის ლექციებზე.
სხჳა და სხჳა ანბავი.


---

ტფილისს.

## რედაქციისაგან.

მამავალის, **1864** წლიდგან ჩუჱნი «ცისკარი» გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე თანამშრომლებით შემწეობით, რა მიმართულებითაც და რომელთ თანამშრომლებით შემწეობითაც გამოდიოდა: ჩუჱნ ვერას ვიტყვით შესახებ ჟურნალისა ამის მეტს, რომ საზოგადოებამ საკმაოდ დაინახა და საკმაოდ სცნო ღირსება მჳდის წლის ნამუშაკარისა, მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც სურდეს დაბარება «ცისკრისა» დროით აცნობონ რედაქციასა და თან წარმოადგინონ ხვედრი ფას[illegible]

# სიტყუა.

იდ-სა სეკტემბერს, ჯუარის ამაღლებასა ზედა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ ქუთაისის სობოროში.

«სიტყუა იგი ჯუარისა წარწყმედულთა მათ თჳს სიცო-
«ფე არს, ხოლო ჩუენ ცხოვნებულთა ამათ თჳს ძალ
«ღმრთისა არს.» (ა, კორინთ. ა, იჱ.)

თუმცა ჩუენ, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ყოველთჳს პატივსა და თაყვანსა ვსცემთ ქრისტესსა, ყოველთჳს და ყოველ დღეს ჯუარითა ქრისტესითა ვაკურთხევთ ყოველსა ჩუენსა საქმესა და დაწყებასა, ჯვარსა ქრისტესსა გამოვისახავთ ყოველ წამს გულსა ზედა ჩუენსა, ჯუარითა შევამკობთ სახლსა, კარსა და ყოველსა ადგილსა, ესრეთ რომელ ჯუარი ყოველგან არის წინაშე თვალთა ჩუენთა, გარნა დღეს განსაკუთრებით თაყვანის ვსცემთ მას და და მისთჳს ვდღესასწაულობთ.

შემთხვევა, რომელსა ჩუენ ვახსენებთ და ვდ-

ღესასწავლობთ დღეს იყო ესრეთი: ძელი იგი ცხოველს მყოფელი, რომელსა ზედა დამოკიდებულ იქმნა მაცხოვარი ჩუენი, მთასა გოლგოთასა, დიდ ხანს იყო დაფარული მიწასა შინა. გარნა ოდეს სჯული ქრისტესი განვრცელდა, ოდეს ჯვარმან ქრი-სტესმან სძლო კერპთ მსახურნი ესოდენ, რომელ თჳთ მეფემან რომისა, დიდმან კოსტანტინემ და დედამან მისმან ელენამ, მეოთხესა საუკუნესა შინა, აღიარეს ქრისტე, მაშინ წმინდამან და ღუთის მო-ყვარემან, და მოციქულთა სწორამან ელენამ დიდი-თა წადილითა ისურვა ნახვა და თაყვანისცემა ცხო-ველს მყოფელისა ძელისა, რომელსა ზედა ჯვარს, ეცვა ქრისტე ღმერთი. მრავლითა მეცადინეობითა, ძიებითა და გამოკვლევითა, ბოლოს ნახა ადგილი სადაც მიწაში დამალული იყო ჯუარი. ამოთხარეს მიწა და იპოვნეს სამნი ჯვარნი, თანასწორნი და მსგავსნი; გარნა რომელი ამ სამთაგან იყო ჯუა-რი ქრისტესი, ეს გამოაჩინა თჳთ ჯვარმან, ვინა-იდგან განკურნა სნეული და აღადგინა მკვდარი ერთითა მხოლოდ შეხებითა: მაშინ ხმა ამისა გა-ნეფინა ყოველსა ქუეყანასა ზედა. შეიკრიბა ური-ცხვი ერი ყოველთა ადგილთაგან; მაშინდელმან პა-

ტრიარხმან იერუსალიმისამან აიღო ჯუარი მხარსა ზედა თჳსსა, მას წინა უმღოდენ დიდი კონსტანტინე და ელენა და აღურაცხელი სიმრავლე ერისა; აღჳდა რა მაღალსა ადგილსა ზედა პატრიარხმან აღამაღლა მელი იგი, სოლო ყოველნი ერნი, მუნ მყოფნი, დაეცნენ მუხლსა ზედა მათსა და თაყუანისცეს მას შიშითა და სიხარულითა. აჰა შემთხვევა, რომელსა ვდღესასწავლობთ ჩუენ; ხოლო რა ფასი და რა მნიშვნელობა აქუს ჯუარსა ქრისტესსა, ეს გვითხრა თჳთ წმინდამან პავლე მოციქულმან: «სიტყუა იგი ჯუარისა წარწყმედულთა მათ თჳს სიცოფე არს. . . .

მველ დროებაში, ვიდრე ქრისტე სოფლად მოსვლადმდე, ჯუარსა სმართბდენ დასასჯელად უკანასკნელთა ავაზაკთა და სჯულის დამარღვეველთა მონათა. მაშინ ჯუარზე უსაშინელესი სასჯელი არ იყო ქუეყანასა ზედა. ერთი მხოლოდ შეხედა ჯუარის იყო საშინელ და საზარელ კაცისათჳს; ერთი სიტყვით ჯვარი, იმ დროს, მიაჩნდათ, ვითარცა ერთი საზარელი, შემაგინებელი და მოძულებული ნივთი. აჰა რისთჳს იტყვის მოციქული «სიტყვა იგი ჯუარისა წარწყმედულთა მათ თჳს სიცოფე არს. . »

წარმოიდგინე რას იფიქრებდენ წარმართნი და ურიანი, რომელთა ერთი მხოლოდ შეხედვა ჯუარისა მიაჩნდათ უბედურებად, ხოლო ჯუარსა ზედა ჩამოკიდებული კაცი, კაცთაც არ მიაჩნდათ; რას იფიქრებდენ იგინი და რას იტყოდენ, როდესაც მოციქულნი უქადაგებდენ მათ, რომელ ჯუარზე ჩამოკიდებული იესო ღმერთათ უნდა აღიარონხოლო ჯუარსა თაყვანის სცენ ვითარცა საღმრთოსა მახჳლსა ჩუჱნისა ცხოვრებისასა? არ გამოჩნდებოდენა მათ წინაშე მოციქულნი, ვითარცა უგუნნი და სიტყვა მათი ვითარცა სისულელე? ახლა წარმოიდგინე: თუ შეგიძლია, სიბრძნე, ძალი და მადლი ღმრთისა; ეს სიცოფე, ეს სისულელე, ეს საზარელი და შემაგინებელი თვალთა წინაშე კაცთასა, საგანი გარდააქცია ღმერთმან მახჳლად ჩუჱნისა ცხოვრებისა; ვინც ამათ, ჯუარისა მაგინებელთაგანი, მიიღებდა ქრისტიანობასა, მაშინვე, ნაცვლად სიძულილისა და შიშისა იგრძნობდა გამოუთქმელსა სიყვარულსა და ნუგეშსა, მხედველი ჯუარისა ქრისტესისა.

«წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ ვყო, სადა არს

მეცნიერი, ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე-იგი ამის სოფლისა.» (ით მუხლი იქავე.)

ვიდრე ქრისტეს ქვეყნად მოსვლადმდე, ვითარცა ურიანი ეგრეთვე წარმართნი ხედჳდენ და გრძნობდენ თუ ვითარ წახდენილ და დავარდნილ არს ბუნება კაცისა; ურიანიცა და წარმართნი ფიქრობდენ, რომელ ღმერთმან საკუთრითა რომელთამე საშვალობითა უნდა აღადგინოს კაცობრივი დავარდნილი ბუნება: გარნა რას მოელოდენ იგინი და რაგვარ განიზრახჳდენ? ურიანი ფიქრობდენ, რომელ ღმერთი მხოლოდ მათითა საშვალობითა განაახლებს ქვეყანასა; იგინი მოელოდენ, რომელ ღმერთი მრავლითა ძალითა და სასწაულებითა დაუმორჩილებს მათ ყოველსა თესლებსა, განავრცელებს მათსა სჯულსა და მით განანათლებს ქვეყანასა; ხოლო წარმართნი სხვაფერ ფიქრობენ; მათ შორის იყვნენ მრავალნი მეცნიერნი, ჭეშმარიტებისა მეძიებელნი, ფილოსოფოსნი, ბრძენნი; იგინი ფიქრობდენ, რომელ მხოლოდ მათითა ფილოსოფოსობითა და სიბრძნითა განახლდება და განათლდება კაცობრივი ნათესავი. ახლა წარმოიდგინე კიდევ მათი და ურიათაცა განცჳფრება, რო-

დესაც მათ ესმის, რომელ ერთი მხოლოდ ჯჳარი და მას ზედა დამოკიდებული არის კაცის გამაცხლებელი და გამანათლებელი, ის ჯჳარი, რომელი იყო უწინ შემაგინებელი და წამწყმენდელი კაცისა. აჰა ვითარ განაცოფა ღმერთმან სიბრძნე კაცისა. კაცმან «სიბრძნითა თჳსითა ვერ იცნა ღმერთი და ძალი მისი, ამისათჳს ჯერ იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სიყჳდილისათა ცხოვრება მორწმუნეთა.» საგანი იგი რომელი მიაჩნდა მათ საშინელად და საზარელად, შეიქმნა ნუგეშად და სიქადულად კაცთა. საგანი იგი, რომელსა მიშისაგან ვერც შეხედჳდენ, გადაიქცა აწ სამკაულად და დიდებად ყოვლისა სოფლისა, რომელი იგი მოკვლვიდა და წარწყმენდდა ტიდჳათა და სჯულის გარდამსდომელთა, აწ განწმენდს და აცხოვნებს ცოდვილთა. ურიანი სასწაულსა ითხოვდენ, წარმართნი სიბრძნესა ემიებდენ, ხოლო მოციქულნი უქადაგებდენ იმათ ქრისტესა ჯჳარცმულსა ურიათასამე საცთურ და წარმართა ხისულელე; გარნა იხილე ძალი და სიბრძნე ღჳთისა; ურიანი მოიქცნენ, წარმართთა აღიარეს, ორნივე დაუმორჩილდენ ქადაგებასა; ორთავე უარ ყვეს ურთიერთა, მათნი

სასწაულნი მეორეთა მათი მეცნიერება, ქრისტე ჯვარცმული შეიქმნა მათ თჳს სასწაულიც და სიბრძნეცა. ისილეთ თუ ვითარ «სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს და უძლური იგი ღმრთისა უძლიერეს კაცთა არს.» დაუმატე ამას კიდევ რომელ მასმადიანნი ცეცხლითა და მახჳლითა ავრცელებდნენ თჳსსა სჯულსა, მათ მიაწყჳტეს ურიცხჳ ერი, გარნა რაც ვერ ჰქმნეს ურიცხვთა ლაშქართა მათთა, იგი ადვილად აღასრულეს თორმეტთა სუსტთა და მდაბალთა მოციქულთა ქრისტესთა, აღჭურვილთა ჯუარითა მისითა. ამათ დაიპყრეს სიტყვითა და ქადაგებითა თჳსითა მთელი ქუეყანა; ხოლო სჯული მასმადიანთა დასუსტდა და დაკარდა; აჰა ვითარ უძლური იგი ღმრთისა უძლიერეს კაცთა არს! აჰა რა ძალი და მნიშვნელობა აქუს ჯუარსა ქრისტესსა ჩუენ ქრისტიანეთათჳს?

გარნა ძმაო ჩემო, ოდეს შეხედავ სახესა ჯუარისასა, ოდეს თაყვანისცემ და ემთხვევი ჯუარსა ხისასა, ანუ ვერცხლისასა და ოქროჲსასა, იცოდე, რომ ის მხოლოდ სახე და ნიშანი არის, ნუ გააჩერებ დიდ ხანს გონებასა სახესა და ნიშანსა ზედა; არამედ ეცადე და წარმოიდგინე რასაც იგი

განიძნავს; ჯუარის სახემ გაგახსოვნოს შენ და წარმოგიდგინოს იგი, რომელი იყო დამოკიდებულ თჳთ ჯუარზე მთასა ზედა გოლგოთისასა. თჳთ პავლე მოციქული, ოდეს აღწერს ესოდენსა ძალსა და მადლსა ჯუარისასა, იტყჳს არა ჯუარის სახისათჳს, არამედ იესოს ჯუარცმისათჳს; შენცა, ოდეს ემთხვევი ჯუარსა, ანუ გამოიხატავ პირსა ზედა შენსა სახესა ჯუარისასა, ანუ ხედავ სადმე ჯუარსა, მაშინვე წარმოიდგინე მთა გოლგოთისად, მას ზედა დამყარებული მაღალი იგი ჯუარი და ჯუარსა ზედა დამოკიდებული იესო მაცხოვარი, მაშინვე განიზრახე, რომელ ეს იქმნა შენთჳს, შენის განათლებისა, გამოხსნისა და ცხოვრებისათჳს; მაშასადამე ეცადე, რომ შენც გერგოს ეს მადლი; გეშინოდეს, რომ ცუდითა შენითა ცხოვრებითა არ გააუქმო ჯუარცმა ქრისტესი. უკეთუ არ მოინანებ ცოდვათა შენთა, არ ეცდები რომ სიწმინდით იცხოვრო, მაშასადამე გაუქმდება შენთჳს ესოდენ მადლი; ვინაიდ ღმერთი არავის არ აცხოვნებს, არამედ თვითონ კაცმა უნდა იწყოს ძიება ცხოვრებისა და სიწმინდისა და მაშინ ღმერთიც მისცემს მას შეწევნასა მადლითა თჳსითა. ამინ.

---

## ავაზაკი ხიზე.

### ნამდვილი მოთხრობა.

ჩყიე-სა წელსა, ერთს სიცხიანს საღამოს დროს, მოხუცებული პასტორი ერთის სოფლის ეკკლესი-ისა, მიდიოდა დაღალული თავის საწყალს ქოხში, სადაცა ელოდა სათნო და კეთილი სამოცდა ათის წლის ცოლი მარგარიტა. ისპანიაში, მართლა, იშ-ვიათი არ არის სიღარიბე და ღარიბი სახლები, მაგრამ პასტორის საწყალს ქოხში უვლებდა რა-ღაც საკუთარი სიღარიბე, და სურვილი, რომ ეჩ-ვენებინათ თავი შემძლებულად, უფრო ცხადად წარ-მოადგენდა სიშიშვლეს იმათის კედლებისას და სი-ღარიბეს სახლის მორთულობისას. დონნა მარგა-რიტამ მოუმზადა პასტორსა ვახშმათ ერთი ჯამი წვნიანი საჭმელი; ეს იყო გადანარჩენი სადილისა,

სხჳა რიგ საჭმელად გადაკეთებული, ძლიერ ოსტატურად; პასტორმა ყნოსვით იგრძნო სუნი იმ წვნიანისა და სთქჳა: კურთხეულ არს სახელი შენი უფალო! მერე მიუბრუნდა ცოლსა და უთხრა: მარგარიტავ! აი ამ წვნიანისაგან მე ნერწყჳ მომდის პირში. მერე გაუბრუნდა უცნობს მარგარიტასათჳს კაცსა და უთხრა: გევედრები შენ წმინდას პეტრეს, რომ სულ მთელი ლოცვები გადაკეკითხნა, ძნელად იპოვნიდი სადმე ამისთანა ვახშამსა. სახემ მარგარიტასამ მიიღო რაღაც ნაირი გამოხატულება, როდესაც დაინახა უცნობი კაცი შესული პასტორთან. თვალი იმისი, რომლითაც გარდახედა უკმაყოფილოს სახით მოულოდნელს სტუმარსა, გაჩერდა ბოლოს პასტორზედ, რომელმაც დახუჭა თვალი, და კრთომით ბავშვისა, რომელსაც ეშინიან მამისა, სთქჳა ჩუმათ ბუტბუტით:

--სადაც ორი სჭამს პურსა, იქ მესამეც გაძღება; მეორეც ესა, მე არა მგონია, რომ შენც თანახმა გამხდარიყავ ამაზედ, რომ მე ეს ქრისტიანი გამეშვა კარზედ ორის დღის უჭმელი, რომელიც იქნება შიმშილით მომკჳდარიყო. ღჳთის მშობელო ქალწულო! წარმოსთქჳა ბებერმა ქალმა

ეს როგორი ქრისტიანია; ეს უფრო ჰგავს ავაზა-კსა, ვინემ ქრისტიანსა; სთქვა ესე და ბუტბუტით გავიდა ოთახიდამ.

ამ დროს სტუმარი პასტორისა იდგა კარებში უძრავად; ის იყო მაღალის ტანისა, ჩაცმული თით-ქმის ძაძებით. შავი, როგორც კუპრი თმა, ბრია-ლა თვალები და გრძელი მისი თოფი, რომელიც ხელში ეჭირა ცხადათ გაჩვენებდათ, რომ კარგ კაცს არა ჰგვანდა, და ეჭვში შეგვიყვანდათ. ნება მომეცით გაგშორდეთ, პასტორო, უთხრა ბოლოს უცნობმა.

პასტორმა გაუქნია უარის ყოფის თავი და სთქვა; ვინც ერთხელ შემოვა ჩემს სართულს ქუეშ, ის აქედამ აღარ იქმნება აროდეს გაგდებული, და არც არის ის ტჳრთი ჩემი; ესრეთი არის ჩემის ცხოვრებისა კანონი. გთხოვთ მიაყუდოთ ეგ თქუენი თოფი კუთხეში, მერე ვასხენოთ ღმერთი და დავ-სხდეთ ვახშმათა.

--უკაცრავად, მიუგო სტუმარმა; ანდაზაა, რომ ორი მეგობარი შეადგენს ერთს პირსაო და ამისა-თჳს მე არაოდეს არსად ხელიდამ არ გაუშვებ ჩემს თოფსა; ეს არის ჩემი პირველი მეგობარი; დაე ხელში მეჭიროს ეს თოფი, ამიტომ რომ თუმცა

თქუჱნ განაგრძობთ მაგ სტუმარი მოყვარებასა და მეგობრულად გამაცილები მასპინძლობის შემდგომ მაგრამ არიან სხჳანი მრავალნი, რომელნიც, თუ-კელში ჩაუვარდი, შემიკვრენ ხელფეხსა და იფიქ-რეთ რა საჭირო იქნება ჩემთჳს მაშინ ეს ჩემი განუშორებელი მეგობარი.

--აი, ეხლაკი თქუჱნი სადღეგრძელო იყოს უთხრა პასტორს, გამოსცალა რა სტაქანი ღჳნით სავსე.

პასტორს წმინდის პეტრესას ჰქონდა მალიან კა-რგი მადა, მაგრამ ისიც განაცჳფრა სისარბემ სტუ-მრისამ, რომელმაც ერთს წამში, არა თუ შესვრი-პა მთელი ჯამი წვნიანისა და, ალარც თუ გაუშვა რა ერთის დიდის პურისა, რომელიც აიწონდა ათს გირვანქას და იმ დროს წამ და უწუმ იყურებოდა ის იქეთ იქით, თრთოდა თჳთეულს მცირედ სმი-ანობაზედ. მცირე ხანს შემდგომს უცებ ქარმა მი-არახუნა კარები, და მაშინ ის წამოხტა ზეზედ და მოიმზადა თოფი. როდესაც მოეგო ამ უცების შეშინებისაგან, დაჯდა იქვე და განაგრძო მადიანი პურის ჭამა.

--ახლა კი, სთქუა ბოლოს, საჭმლით პირსავსემ,

ვთხოვთ ამ კეთილ--მოქმედებას დაუმატოთ ერთიცა; მე ვარ დაჭრილი შიგ ბარძაყში, და აი რვა დღეა, რაც ჩემი წყლულება შეუხვეველი მაქჳს. მამეცით რამე ძველი მჩვარი და მაშინ ყოვლის შეწუხებისაგან განვათავისუფლებთ.

--მე სრულებით არა ვცდილობ შენს თავიდამ მოშორებას, მიუგო მას პასტორმა; და რაც შეეხება შენს დაჭრილობას, აი რას გეტყჳ: მე თჳთონ ვიცი მცირედი ექიმობა, და მაშასადამე არ მივასწევინებ არც ხამს სოფლის დალაქამდის, და არც ცუდ ჩვრებს გასმარებინებ; აი თქჳენ ეხლავ ნახავთ ამას.

ამოიღო იმ დროს მკაფიდამ გამოკრული პარკი, რომელშიაც ჰქონდა აფთეკა; მერე გადიკეცა ყურთმაჯები და შეუდგა აქიმის აღსრულების ვალდებულებასა. დაჭრილობა აღმოჩნდა მართლა მრიელ ღრმა; ბარძაყი სრულებით გახვრეტილი ჰქონდა ტყჳით, ასე, რომ საკუთარი ძალა და მხნეობა საჭირო იყო, რომ ისე სულგრძელებით მოეთმინა ის წყლულება, როგორც ის ითმენდა. როდესაც დაასრულა შეხვევა, უთხრა პასტორმა: თქჳენი წასვლა ამაღამ არ შეიძლება; თქჳენ უნდა ეს ღამე

გაათრიოთ აქ: ეს ძლიერად გაგამაგრებსთ თქუენ, შე-ამცირებს ანთებას და დააცხრობს სიმსივნეს.

--არა, მიუგო მსწრაფლად სტუმარმა, მე უთუ-ოდ უნდა წავიდე დღესვე, ამავე წამში; იმ გვარნი პირნი არიან, რომელნიც მამელიან მოუთმენელად, სთქუა ამოხვრით; არიან იმისთანანიც, რომელნიც მეძებენ მე, სთქვა ესკი რაღაც მხეცებრივის მღი-მვარებით. ვნახოთ! აბა, რა ქენით? დაასრულეთ შეხვევა ჩემის დაჭრილობისა? კარგი! მე ეხლა ის-რე ვგრძნობ თავსა, თითქო დაჭრილიც არ ვიყო; ცოტა პური თანაც გამატანე და გამოკეთხოვებით კიდეც--აი ერთი ოქროც თქუენი ვახშმის ფასი. მშვიდობით!

პასტორმა გადაუგდო უკანვე ოქრო უკმაყოფი-ლებით და უთხრა: მე ტრაქტირჩიკი არ გახლავარ უფალო, და ჩემს სტუმართ მოყვარებას ფასად არა ვყიდი.

--ნება თქუენია, უთხრა სტუმარმა, ჩაიდო ოქ-რო ისევ ქისაში, ამოიდო იღლიაში დიდი პური, რომელიც მარგარიტამ შემოუტანა, გაუდგა გზას ის წამოსადეგი კაცი, და დაიმალა ბოლოს ბუჩქ-ნარში, რომელიც გარშემორტყმული ჰქონდა პას-

ტორის ქოხსა.

ერთის საათის შემდგომ, ჰასტორმა გაიგონა თოფის ხმა და ამ დროს ისევ ის სტუმარი, დაჭრილი გულში, სისხლიანი და ფერმკრთალი, როგორც სიკვდილი, შევარდა იმისვე ოთახში.

--აი, აიღე, ეს ფულები საჩქაროდ. უთხრა ჰასტორს სტუმარმა, და იქ თხრილში შენს სახლს ახლოს.., ჩემი ცოლი და შვილები არიან! სთქვა ესე და დაეცა, მიწაზედ.

ამ დროს ჰასტორის ოთახში შემოსცვივდნენ ისპაანის ჯარები, რომელთაც ხელში ეჭირათ თოფები, ზედ ფეხზედ ჩასმახ შესხმულები, და სტაცეს რა დაჭრილსა ხელი, შეჰკრეს მცირედის მისის მხრით წინააღმდეგობისა, და შემდგომ მისცეს ნება ჰასტორს შეესჯა იმისთჳს დაჭრილობა. ბევრი ეხვეწა ჰასტორი ჟანდარმებს არ წაეყვანათ ისე მძიმედ დაჭრილი, და არწმუნებდა, რომ გზაში ის ხელში შემოაკვდებოდათ; მაგრამ სულ ყოველივე ეს ხვეწნა იყო ამაო; არათუ არა გაუგონეს ჰასტორს, ურემშიაც არ ჩასდვეს ის საწყალი მძიმეთ დაჭრილი.

--გზაში მოკვდება თოკისაგან, რომლითაც ეს

შეკრულია თუ არა, სულ ერთია, უთხრეს პასტორს გულ გრილად ჟანდარმებმა, სვე მაგისი გარდაწყვეტილია! დასასრული მაგისი არის საშინელი, რადგან ეს არის საქვეყნო ავაზაკი ხოზე.

ხოზემ ბოლოს მადლობა შესწირა პასტორსა; მოსთხოვა კიდევ ერთი სტაქანი წყალი, და როდესაც მიუტანა ტუჩებთან წყალი, ხოზემ კიდევ რაღაც ჩასჩურჩულა ყურში პასტორს. ხო მისვდით? ჰკითხა ბოლოს სასიკვდილო ხმით. პასტორმა დაუქნია თავი და შეატყობინა, რომ მიხვდა. როგორც გავიდნენ ჟანდარმები თავისის სისხლიანის საშოვრით, პასტორმა მაშინვე ჩაიცვა ტანთა, და თუმცა მარგალიტა წარმოუდგენდა იმას საშიშროებას გზისას ღამით, მაგრამ მაინც წავიდა ის პირდაპირ იმ თხრილისაკენ, რომელიც დაუნიშნა ხოზემ და ჰპოვა იქ მკვდარი დედაკაცი, ერთი მუმუსი და ერთი ოთხის წლის ვაჟი; ეს უკანასკნელი ანძრევდა პატარა ხელებით დედას და აღვიძებდა, ეგონა რომ ის იყო მძინარე.

წარმოიდგინეთ განკვირვება მარგალიტასი, როდესაც დაინახა პასტორი შემოსული ოთახში ორის პატარას ბავშვებით, რომელთა დედაც მიაბარა

მიწასა.

--ღუთის გულისათჳს მითხარი, რა გიქმნია ეგ უ. პასტორო? ჩუენ იჳთონ არ ვიცით რით უნდა ვიცხოვროთ და შენ მოგუყავს კიდევ ორი სხჳს შჳლები; დაფიქრდი კარგად. რა უნდა უყოთ მაგათ, მოწყალებას ხომ ვერ ვითხოვთ მაგათის გულისათჳს? მერე ვისი შჳლები, ავაზაკისა, ბოშასი; მეორეც ესა რომ მე დარწმუნებული ვარ ეგენი მოუნათლავნიც იქმნებიან.

ამ დროს მუმუს ბავშვმა შექმნა ტირილი; აბა ახლა რა უყო მაგას უ. პასტორო? უთხრა კიდევ მარგალიტამ, რით უნდა გამოიზარდოს ეგ პატარა? შენ კარგად იცი, რომ მიმის ქირაობის თავი ჩუენ არა გვაქუს, ეგ უნდა ვზარდოთ რძითა, და იცით რა სიძნელე და რა მოუსვენებლობა მოსდევს ამასა; იცით რამდენი მძიმე ღამე მიმელის მე ამ დღით-გან მაშინ, როდესაც თქუენ იმ ღამეებს გამოიძინებთ ტკბილად; მგონია ჯერ ექუსი თჳსაც არ არის ეგ ჩჩვილი, მაგისი ბედი რომ მან ცოტა მროხის რძე კიდევ მეგულება.

და უცებ, დაივიწყა რა ყოველი უკმაყოფილება, აიყვანა ხელში ბავშჳ, დაუწყო კოცნა, ერთის ჴე-

ლით უთბობდა რძესა და მეორეთი უქვავებდა.

ამ სახით, როდესაც გაამძღო ის და დააძინა, მიჰყო ჴელი მეორესაც და მოუმზადა იმასაც დრო-ებითი ქვეშსაგები პასტორის ტანსაცმელისაგან, და მანამ ის იმავეს დაასრულებდა, პასტორი მოუყვა იმას წვრილათ, თუ რა რიგად იპოვნა ის უმაწყ-ლები თხრილში, ანუ რა რიგათ ჰქონდა ნაანდერ-ძება დაჭრილის და იმათ სახლში მეპყრობილის სტუმრისაგან.

--ეს ძალიან კარგი და კეთილი საქმეა, მაგრამ მე მაინც არ მესმის კიდევ, თუ როგორ უნდა ვი-ცხოვროთ ჩვენ და ან ესენი გამოვზარდოთ.

მაშინ პასტორმა გაშალა სახარება და წაუკი-თხა «ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შე-იწყალნენ».

თორმეტმა წელიწადმა განვლო ამის შემდგომ, და პასტორი წმინდა პეტრეს ეკკლესიისა, რომელიც იმდროს იყო სამოცდა ათის წლისა, იჯდა ერთ-ხელ მზეში და თბებოდა თავისის ქოხისა მახლო-ბლად.

ერთს გვერდზედ უჯდა პატარა, თორმეტი წლის ბავშვი, რომელსაც უკითხავდა სახარებასა, და გა-

რდასხედამდა ხოლმე ხშირად მეორეს თექვსმეტის წლის მრთელს თეთრ ყირმიზს ყმაწვილს, რომელიც საკუთრის სალისით და სიყუარულით მუშაობდა პატარა ბაღჩაში, რომელიც ეკუთვნოდა პასტორის სახლსა, და მეორეზედ დაბრმავებული მარგალიტა, რომელიც დიდის სიყუარულით და ერთგულებით უგდებდა ყურსა სახარების კითხუას.

უცებ გაიგონეს კარეტის კმა, რომელიც მოდიოდა პირდაპირ პასტორის სახლისაკენ, და როდესაც შენიშნა პირველმა ყმაწჳლმა, კმა მაღლა დაიძახა: აი, მამაო, შეხედეთ რა მშუენიერი კარეტა მოდის, და მოდის პირდაპირ ჩუენის სახლისაკენ!

მართლად, ის მშუენიერი კარეტა მოვიდა და გაჩერდა პასტორის სახლის წინ. მდიდრულად ჩაცმული მოსამსახურე, რომელიც იჯდა კარეტის უკან, მარჯუეთ ჩამოსტა ეკიპაჟიდამ, მივიდა პასტორთან და სთხოვა ბატონის მაგიერად ერთი სტაქანი ცივი წყალი.

--კარლოს! შეჰყვრა უმცროსს ყმაწჳლს პასტორმა, დაუსხი ეხლავ ერთს სტაქანზე წყალი და მეორეზედ ღვინო; იქმნება იმ ბატონს სურდეს წყალღვინის მირთმევა; აბა საჩქაროთ!

იმ დროს ბატონმაც გააღო კარეტის კარი და გამოვიდა, ის იყო ორმოცდა ათის წლის კაცი, ტანათ მაღალი.

--ესენი უთუოდ თქჳენი დისწულები უნდა იყვნენ? უთხრა იმან პასტორს, მიუშვირა რა ჴელი ორს მშჳენიერს ყმაწჳლებზედ.

--არა ბატონო, უთხრა პასტორმა, უფრო მახლობელნი არიან, ვინემ დისწულნი; ესენი არიან ჩემი შჳლები,--ესე იგი ჩემნი ნაშჳლებნი.

--აბა რა რიგად ნაშჳლები, უთხრა სტუმარმა; გთხოვ თუ შეიძლებოდეს მიამბო წვრილათ.

--კარგი, მე თქჳენ წვრილათ მოგიყვებით მაგათ ამბავსა, უთხრა პასტორმა, ამისათჳს უფრო, რომ ჯერ ერთი, მოხუცებული ვარ, და მეორე საწყალი და გამოუცდელი, იქნება თქჳენ მიჩვენოთ გზა; მომეცით რამე კეთილი რჩევა, თუ რა რიგად ვიზრუნო მაგ ობლების ბედნიერებისათჳს.

და მოუყჳა აქ მოხუცი სრულს ისტორიას, თუ სად და როგორის სახით ისინი იმას ჩააბარეს.

აბა რას მირჩევთ ახლა, ჰკითხა იმას პასტორმა, როდესაც დაუსრულა სრული ისტორია.

--მე გირჩევთ, მისცეთ ესენი კოროლის ღვარ-

დიამი, და შესაფერის მაგათის გამოზრდისათჳს იქა, საჭიროა თითოს ჰქონდეს ოთხი ათასი დუკატი წელიწადში (დუკატი ისპანიის ფულია, მანეთზედ მეტი).

--მე გთხოვ ბატონო რჩევას და არა სუმრობას, უთხრა იმას პასტორმა.

--მეორეც ესე განაგრძო სტუმარმა, საჭიროა, რომ განაახლოთ თქუენი ეკკლესია და გარეშემო შემოარტყათ ჩინებული რკინის მოაჯარი; აი, მგონია მე ჯიბეში მიმევს პლანი, თუ რა რიგად უნდა გაკეთდეს ეს ყოველივე; აბა გასინჯეთ როგორ მოგეწონებათ, და შეიძლება თუ არა მერე დაერქვას მაგ ეკკლესიას, სტიქან-წყლის ეკკლესია?

--კმარა ბოტონო, მაგდენი სუმრობა, უთხრა კიდევ უკმაყოფილებით პასტორმა; ბოლოს ჩააცქერდა თვალებში, და რაღაც სიზმარივით წარმოუდგა სახეც, და კმაც იმისი, მოაგონდა, რომ ნაცნობი იყო. ოჰ! ღმერთო! დამიბრუნე გულის ყური და შემაგონე თუ რას ნიშნავს ეს ყოველი, სთქუა ბოლოს.-

--ეს ნიშნავს იმას, მიუგო სტუმარმა, რომ მე ესლა ვარ,--დონ სოზე რიბეირა, და თორმეტის წლის წინეთ ვიყავი წმინდა ავაზაკი სოზე, გაპარული საპყრობილიდგან, მაგრამ დროებამ შესცვალა

უოველივე, და ესლა მე შევიქენ პირველ გორიელის სარდლათ ლაშქრებისა. თუ მე ცოცხალი ვარ ახლა, ამისი მიზეზი ხართ თქუენა; იყავით აქამომდე მშობლების მაგიერი ყმის შვილებისა. ოჰ! შვილებო, შესმასა ბოლოს ორთავე უმაწვილებს, აბა მოდით, ჩაეკარით თქუენს მშობელს მამას მაგრათ გულში! მაშინ თვალით ანიშნა იმათ პასტორმა და ისინი მსწრაფლად მისცვივდნენ, და ჩაესუტნენ გულში მამას.

დიდ ხანს ჰკოცნიდა მცხარეთ მამა, ხან ერთს და ხან მეორეს, და ღვრიდა იმათ მშუენიერს უმაწვილს სახეზედ სიხარულის ცრემლსა, რომელშიაც ერეოდა ცრემლი იმისის ორის ვაჟისა, რომელთაცა ისინი აფრქვევდენ მამის უბეში.

მერე გაუბრუნდა პასტორსა, ჩამოართვა ხელი, მიიკრა მაგრათ გულში, მოეხვია, დაჰკოცნა და უთხრა:--ჩემო სულიერო, საყუარელო მამავ! გკითხავთ კიდევ განმეორებით; თანახმა ხართ უწოდოთ სტაქან-წულის ეკლესია? და დანარჩენი თქუენის სიცოცხლისა დაასრულოთ იმ მდიდარს სახლში, სადაც მიგელის თქუენ პატივი, ღირსი თქუენის კეთილ-მოქმედებისა, ღუთის მოყვარებისა და სტუმართ მოყვარებისა ერთად თქუენის მოხუცის მე-

უღლის მარგარიტათი?

პასტორი მიუბრუნდა ცრემლიანს მარგარიტას, უყურა დიდ ხანს მწუხარებისა და სიღარიბისაგან დამქრალს თვალებში, გამოართვა ბოლოს კარლოსსა სახარება, გარდაშალა და წაუკითხა კიდე: «ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ!» მარგარიტამ იმ ჟამს დაჰკარგა ნიჭი ლაპარაკისა და სიხარულით იდგა უსიტყოთ როგორც სტატუი.

ერთის წლის შემდგომ, ხოზე რეიბერი და ორი იმისი შვილი დაესწრნენ, როდესაც აკურთხეს გამშვენებული ეკკლესია წმინდა პეტრესი, წოდებული ეკკლესიად სტაქან-წყლისა და, რომელიც არის ესლაც ერთი უპირველესი და უმშვენიერესი ეკკლესია სევილის არემარეში.

გ. დიდებულიძე.

## სალ. . . ბექანას მაგიერ.

მზევ შინ შემოდიო, მზევ შინ შემოდიო,

სიხარულო, შვებავ, ლხინო.
ახლისა აკვნის გუშაგნო,
თქუჱნ, სულისა ალნაგსა ახლად,
დაჰფრინეთ თუალ მოულულად.
მე მისსა მშობელს ვენერას
დაუმღერ ტკბილსა მზეშინას.
გიმღერ, გალხენ; განისვენო,
ჩემო მაკრატლის გჳრგჳნო.
ეჭჳ ვის აქუს, მამა ვინც არს,
ჩემს ნაკერსა გჰსცნობ ფრიად შორს.
ნუ გწყინს ვარდო ყვავილთ მეფავ,
რომ ზოგჯერ იასაც ჰვსუნავ!
რა ვჰქნა გულს ვერ ვეტყჳ უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს.
მარად რაყიფთ ვხედ შენთან როს,
მწვენ, გულზედ მისმენ ცხელს ყუთოს!

შენ სანთელი მე ფარვანა,
დაე დაიწოს ბეჟანა!
სიყვარულმან მათქმევინა,
თვარა მე ვინ, ლექსი ვინა?

თ. გრიგოლ ორბელიანი.

---

## ამაოება.

(თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებითგან.)

ეს სოფელი სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
რა ვიშვებით მყისვე ვჰსტირით, ვით წინად მგრძნი
მომავალთა;
მოვიზრდებით — წიგნის კითხვით არ გაგვიშრობს მწრთო-
ნელი თვალთა;
ჟამი გვიროკს, იგი გვიძახის; შეუდექით სიბრძნის კვალ-
თა! —
რა ჰასაკს შევალთ ახლად, ჭირი უფრო გვემატების:
თვალი გულს ჰსცემის, გული გრძნობას, გრძნობა ტრ-
ფობას ემსჭვალვების.
სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თჳსებრ ნების,
და გლახ შეგვიქმს პატიმარად მკვნესარად და მოქმელად
ვების. —
ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ გვალად სხუა გვა-
ქჳს წუხვა.

არა ვჰკმაობთ საკმაოსა, ნდომა ჩუჱნი უზომ უხვა.
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა ქუხვა;
რა ვერ ვპოებთ საწადელსა, შეგვექმნების შურის ჭმუნვა.
ოდეს წელთა ტჳრთის ზიდვით, ქედით მშჳლდებრ მოვიხრებით,
ყოველთავე მოვძაგდებით, ზნე გვეცვლების, გრძნობის კლებით,
სიკჳდილისა წინამძღჳარად მოვლენ სენნი მახჳლ ლებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყჳს: ახით ნაშჳნო მოკვდით ვებით!

---

## ნ. რ-ას.

შენ შეუქმნიხარ ბუნებას მისთჳს;
რომ იყო მეფად ყოველ კაცისთჳს,
რომ შენ გმონებდეს ბერი და ერი,
დიდი, პატარა, სუსტი, ძლიერი.
მე ვიტყჳ ამას: ვინც შენ შეგხედავს
და შენ სახესა სრულად იხილავს,
მას ჩაებეჭდოს ეგ სახე გულში,
და სიკჳდილამდი ექმნება მასში.
შენ რომ იცინი და წარბსა შენსა
შეათამაშებ აშიკულათა;
ვინ იქმნეს მაშინ, რომ ის იხილოს
და ისრებ გულში არ განიგმიროს.

და ასე გეტყჳ შენი მნახველი.
ვარ აქ ამის აღმსარებელი:
რომ შენ გმონებდენ, ვითა მეფებსა
და მოგიძღვნიდეთ თაყვანებასა!. . .

გვერდოვნელი.

ქ. ქუთაისი.

---

## ლოცვა ჩემი, წინაშე მღვთისმშობლისა.

გულსამხურვალებით, ცრემლ მჩქეფარე. დედავ მღვთისაო,
მუხლსა მოვიდრეკ, შენ წინაშე. ჴელთ გაპყრობილი,
უნივთოს ნათლის აღმნთებელო ცის და ქუეყნისავ,
გეღაღადები უბადრუკი, ცოდვით დანთმული!
უფსკრულის სიღრმით აღმიყვანე, მეც განმარინე,
წყარო უკვდავი ცხოვრებისა ვჰსო სამკურნალოთ,
სიკუდილი მოჰკალ, ჯოჯოხეთი მის დასით დანთქე.
კაცთა ხსნისათჳს შენ იტჳრთე ღმერთი წიაღად.
მეც მაპატივე ვით მეძავსა, ანუ მეგჳპტელს,
შენ მიუტევე და მიეცი სულთქმა გულისა;
შენგნით გჳრგჳნსა, მწუხარენი დაიდგმენ უხრწნელს,
იქ განუსვენებთ წმინდა ეზო სოფლით ტანჯულსა.
გთხოვ შემიბრალო გამიტაცა შავმა გრიგალმა,
ნებსით, უნებლიეთ ცოდვის ტჳრთი უცებ ამკიდა,—
რა დავეფარვის, სრულად იცი, შენ ზეციდამა,

რომ ეტლი ჩემი თჳსი ცელით მწარეს ღვარძლს მკიდა.
შენ ჴბმანე თჳთვე სინანული და მიტევება,
ნიშნად შეგვბეჭდე მირონითა, მრავალ სასყიდლით,
აწ სინანულსა ვაღვიარებ, სუ მეკითხება,
ყოვლად წმინდაო, საიდუმლოვ, შენის დიდებით!
მისა გვერდითა მჯდომარეო, მღჳთაების საყდარს,
გთხოვ მიითჳლო, ეს ვედრება, ჩემმიერ მსხჳერპლად,
გუნდრუკ-მურის წილ, საკმეველად, თუმცა არა ღირს,—
შენის მის მსგავსად შეიწირე ბებრისა ფითილად!...

კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

1865 წ ოკტომბრის 2. ზუგდიდი.

---

## მამაკვდავი ლოთი.

ღმერთო! ერთხელაც შამასწარ,—რომ ბაღში სუფრა
მეშალოს,
მდინარის პირზედ ბუჩქთანა, ყველი ფოთოლზედ მეყაროს;
მწვადი მახლობლად მეწოდეს,მწვანილმა თვალი მიხაროს,
ჯამით ვსვამდე ღჳნოსა სადღეგრძელოსა საამოს.
ისე დავაშრობ ჯამებსა, ვფიცავ ბახუსსა არ დავღვრი,
და მაშინ ღჳნით დახრჩობას გულის წმინდით ვინატრი.
ჰე ღმერთო მე შენ გიაჯი, შამასწრო კიდევ იმ დროსა,
ვეწაფო ქვევრსა ახდილსა, რომ გულმა გაიხაროსა;

ვსვამდე ხარბობით, ჭრკიანსა, მწკლარტეთ გაკრულსა ღვინოსა,
და მაშინ ჩემი სიცოცხლე სამარეს მიებაროსა.
განც მომაშორებს ქუევრიდან, ვფიცავ ბახუსსა სისხლს დავლევრი,
თავქუეშ თუნდ შიგაც ჩავარდე, მერწმუნეთ არას ვინაღვლი.
ღმერთო, ერთხელაც მაჩვენე, მოძმენი ჩემთან ლხინობდნენ,
სავინმ გახ'ნილნი ლილინით, ჯიხვზედა ჯიხვსა მასმევდნენ;
თუნდ ვიყო მაჭმადიანი, წყლის ნაცვლად ღვინით მნათლამდნენ,
შემდგომ ერთობრივ იგინი ჩემსა დათრობას ცდილობდნენ;
მაშინ ჩემს უძლეურობასა, სიყმაწვილეზედ არ გავსცვლი,
ვფიცავ ბახუსსა, მოძმენო! ერთს არ ავიცდენ სულ დავცლი!

თ. გიორგი ორბელიანი.

# ვარძიის მონასტერი.

აღმოსავლეთით ცამეტი ვერსტით ყვირილის სტანცი-
ისა კიცხისა და ლახუნდარაჲსის სოფლეთის შუა იმყოფე-
ბა ვარძიის მონასტერი. ძუელად, თამარ მეფის დრომ-
დის იმ ადგილს, სადაცა ახლა დგას მონასტერი იყო
მშუენიერი ტყე (ამ ტყეს სახელად უწოდეს ლომის
მთის ხეობას) აღვსილი სხუა და სხუა გარეულით მხეცე-
ბითა, რომელშიაც მეფენნი ჩუენნი ნადირობდენ ქურცი-
კთა, შველთა და ჯიხუთა, რის თჳსაც ცდილობდენ ისინი
განვრცელებას მისს ტყისას იმა მცენარეებითა, რომელი-
თაც იზდებოდენ ზემო თქმულნი ცხოველნი, ეგრეთვე
იყვნენ დადგინებულნი მცველნი მის ტყისა, რომელთაც არ
უნდა შეეშვათ არცა ერთი კაცი, თჳნიერ მეფის და იმის
ვეზირების. იმ დროიდგან, როდესაც ჯეჯილი იწყებდა
აღმოცენებასა, და ხეები ყვავილოვნობასა, მეფემან თა-
მარ აღაშენა იქ ეკკლესია შემდგომის მოქმედებით: დაი-
მორჩილა რა მეფემან თამარ თათარნი ახალციხისანი ქუეშე-
ვრხთა თჳსთა, მიაქცია ზოგნი მათგანნი ქრისტეს სარ-
წმუნოებისადმი; და აღუშენა იმათ ეკკლესია სოფელს

ვარძიას, რომელიცა იმყოფებოდა სამხრეთით თჳთ და-ბისა ახალციხისა: დაასვენა მას ეკკლესიაში ხატი ღჳთის-მშობლისა, და უწოდა სახელი მის სოფლისა ქ. ი. «ღჳთის მშობელი ვარძიისა.» და დაჰყო იმ ადგილს მე-ფემან თამარ ექჳსი თჳე, რომლის დროშია ეკკლესია იგი მრეკლითა იყო ყვავილოვანს მდგომარეობაში, რა წამოვიდა მეფე თამარ ახალციხით ქუთაისს, დაუტოვა ვა-რძიელთა მღჳდელი, რომელსაცა აღუთქჳა დიდი წყალობა. თუმცა კეთილად მწყსავდა მრე-კლსა მას და ეკკლესიას, გარნა მღჳდელი არ იქმნა აღმ-სრულებელ თხოვნისა თამარისა; არამედ წამოსვლისამებრ მისისა იწყო ცხოვრება გარყუნილად, მეტადრე იქმნა ფრი-ად ანგარ, რაჲსათჳს თათართა განაგდეს თავისის მა-მულისაგან, ხოლო თჳთ მიიქცნენ ისევ მაჰმადის სარწ-მუნოებისადმი. ჰსცნა რა ესე მეფე თამარ ეწყინა ფრიად და წარემართა წარსატყუევნელად მათდა მცირითა მხედ-რობითა, თათართა იგრძნეს რა მანკიერება თჳსი წი-ნაშე ღჳთისა და მეფისა, დავარდნენ ფერხთა თანა თა-მარისა; და გამოითხოვდენ მიტევებას შეცთომისასა, და მვალად მიქცევას ქრისტეს სარწმუნოებისადმი. მეფემან თამარ ისმინა თხოვნაჲ მათი, და მიაქცია იგინი ისევ-ქრისტეს სარწმუნოებისადმი, ხოლო მღჳდელი აღშ-ფოთებული იმათი, სტანჯა დიდითა სტანჯველითა, ვი-თარცა ფრიად დამქცევი მშჳდობისა.

შემდგომ თამარმა სთხოვა თათართა სხჳა სოფელს გადასახლება, როგორიც დაუნიშნავდა. თჳთ ამაზედ ეთანხ-მენ ზოგნი მათგანნი, გარნა ზოგნი ,არადა დარჩნენ იქვე.

წარმოვიდა მეფე თამარ იმა თათრებითა, რომელთაც ეთანხმენ, და ხატითა ვარძიის ღმრთის მშობლისათა იმე-რეთში, რადგანც სურდა იქ სადმე აღშენება ეკკლესიისა და დაესახლებინა ის თათრები. მოუახლოვდა რა ჩხერის ციხესა, დაღამდა, (ეს ჩხერის ციხე არის მდინარის ჩხერო-მელას პირზე, ორი ვერსტით ზეით ბელაგორიის სტან-ციისა) და დადგა იმ ღამეს იმ ციხეში. რომელსაც ნახა სიზმარი გამოცხადებითა ერთი მოხუცისათა, რათა წაასხ-ვენოს ხატი იგი ვარძიის ღმრთისმშობლისა და მისვე-ნოს ლომისა-მთის-ხეობაში, რომელიც იყო ტყე, რო-გორც ვთქვით ზემოთ, სადაცა პოვებს აგარაკს (*) აღსა-შენებლად ეკკლესიისა. მეორე დღეს მეფე თამარ წარემა-რთა და მივიდა, სიზმრით დანიშნულ ალაგს, სადაცა პო-ვა აგარაკი ერთი. დაასვენა მუნ ხატი ღმრთის-მშობლისა და აღაშენა მას ზედა ეკკლესია განმავალობასა შინა ორის თვისასა, ათინიის ხუროთ მოძღვარის ხელ მძღვანელობით; და შეამკო იგი სხუა და სხუა საეკკლესიო განძებითა, დღეინდელად დღედმდე შეურყეველად იმყოფებიან. ღმრთის მშობელისა, ესე იგი «ვარძია» ეკკლესიის პირველ შესავალს კარებზე ყოფილა დაწერილი თამარ მეფეს მდივნის აბ-დულ-მესია შავთელისაგან შემდგომი სიტყუა: «მოიხ-სენე შენ უფალო, სასუფეველსა შენსა აღმშენებელი ტა-

(*) ამ სტატიის ავტორსა გთხოვთ, რომელსაც სტა-ტიას გზავნიდეს დასაბეჭდავათ, მდაბიურის ანუ გასა-გონის ენით დაწერდეს, მაშინ უფრო დაუმადლებთ ამ გვარის სტატიის გამოგზავნისათჳს. რედ.

ძრისა ამის შენისა მეფე თამარი.» გარემოს ამა ეკკლესიისა დაასახლა მეფემან თამარ, თათარნი, წამოყვანილი ახალციხით, რომლის შთამამავლობა აღარ არიან აწ.

მეფე თამარს მოსწონდა რა სოფელი იგი ისურვა დადგომა იქ, რაჲსათჳს აღაშენა სამეფო ქვიტკირის სახლნი, ნაქცევნი რომლის ჩანან ეხლაცა; ცხოვრებდა ორ წელ, რომლის შემდგომ გადიცვალა იგი. ხოლო შემდეგ თამარ მეფის მეფობისა დროსა უკანასკნელ მეფეებთასა ეკკლესია იგი იყო დამწვარი სამგზის ურწმუნო თათართაგან, გარნა მადლი ღჳთისა ფარვიდა მას, რამეთუ სამჯერვე გადარჩა დაქცევასა და სრულიად მოოხრებასა. და ბოლოს მეფემან დიდმან სოლომონმა შესწირა ეკკლესია იგი და მამული მისი კიევის მონასტერს (ეს მონასტერია კიევში, რომლის პატრიარხიდგან იგზავნება აქ არხიმანდრიტი მმართველად იმა ეკკლესიისა და მის მამულისა.

თომა მაჭავარიანი.

---

# ლექცია. XVII

## გასანათლებელი. მზიური და ხელოვნური სინათლე.

უსინათლოთ კაცი ვერას დაინახავს. ეს რისგან არის? მგონია, ახლა თქჳენ ეს გაგებული გაქვთ სინათლე, გარდა მხედველობისა სიცოცხლისათვისაც საჭიროა. ბნელაში კარგათ ვერ იცხოვრებს კაცი მცენარენი, რომელნიც, ბნელ ადგილებში სცხოვრობენ ანუ ჩრდილში, ყოველთჳს უმღურნი, უწვენონი არიან და მალე ჭკნებიან, ფურცლებს კარგი მწვანე ფერი არა აქვთ და ყვავილებსკი სული და ფერ მკრთალნიც არიან. ამ რიგათ ემართება ცხოველსაც და კაცსაცა. რომელიც კაცი ბნელ ქვეყნაში ცხოვრობს, სადაც მზის სხივები ძვირათ ხვდებიან. მომაუძლურებელი სნეულება ემართება ხოლმე, ე. ი. სატკბურა, სიჭლექე, სურავანდი; იმათ პირის სახე მოყვითლო აქვთ მთელი სხეული გამხდარი, ძუალები წვრილი და რბილი, სისხლში მომეტებული წყალი ურევიათ, მინამ მაგარი ნაწილები, პურის მადა კარგი ვერა აქვთ, საჭმელს როგორც უნდა ისრე ვერ ინელებენ.

დღე მიწას და რაც მიწაზედ არის მზე ანათებს. მზიური სინათლე—ე. ი. ის სინათლე, რომელიც საჭიროა და სასარგებლოა მცენარეთა და ცხოველთათჳს. ნამდჳლი

და ბუნებითია, ისეთი, რომელიც თჳთონ ბუნებამ იშოვნა და კაცის ცხოვრებისათჳს დააწესა. იმ დროს თჳს, როდესაც მზე აღარ ანათებს კაცებმა ბევრი გასანათლებელი მასალები მოიგონეს, რომელნიც ცეცხლივით იწვიან და ისეთ სხივებს უშვებენ, როგორათაც მზე. ამ მასალების სინათლეს ჰქჳან ხელოვნური ე. ი. კაცის ხელოვნებით და ჭკვით მოგონილი არის. ეს სინათლე იმ როგათ სასარგებლო არ არის, როგორათაც მზიური, — მომეტებულ ნაწილი კაცს ავნებს ხოლმე და ამისათჳს კაცმა იმის ხელი უნდა იცოდეს. ხანდიხან მზიური სინათლეც მავნებელია ხოლმე; რისათჳსაც უნდა მოვახსენოთ რამდენიმე წესი, თუ როგორ მოეკიდოს სინათლეს კაცი. ჯერ ბუნების სინათლიდგან დავიწყოთ. წარსულ ლექციაში მოგახსენეთ ძალიან გაკაშკაშებულ სინათლეზედ. ყველამ იცის როგორ ძნელია მზეს ანუ დიდ ცეცხლს რომ უყუროს კაცმა, — ცქერა მიტომ ეძნელება, რომ სინათლის სხივები თვალში მაგრათ ჰსცემენ, ასე რომ თითქო სჭრიანო. ხშირად ცქერისაგან დიდ სინათლეზედ კაცს ჯერ თვალებში სისხლი აუვარდება, ცილები და ქუთუთოს შინა გარსი გაუწითლდება, სისხლით აივსება, ლპება. ამიტომ თვალები ცოტ ცოტა უსუსტდება და კაცს ყმაწვილობითვე შეიძლება, რომ თვალები სრულებით დაუსუსტდეს. ეს მარტო პირდაპირ მზიურ სინათლისაგან კი არ მოხდება, არამედ კიდევ იმისაგან, რომელიც ბრწყინვალე ნივთთაგან გარდაიცემა. ამიტომ უდროოთ ჰკარგვენ თვალის სინათლეს მესაათები, სტამბაში ამაწყობნი და ქარგის მკერვლები. ამიტომ რომ მალმალე ამტერე-

ბენ ხოლმე თვალებსა ელვარე საათის ნაწილებსა, გაგაშგაშებულ ასოებსა, ოქროს ქსოვილსა და ფერადებსა. მომეტებული შესაბრალისნი არიან- ქარგის მკერვლები, რომელნიც ერთ ლუკმა პურისათჳს ორშაურის შოვნის გულისათჳს, ხანდისხან თავის თვალის სინათლესა დაუბრუნებლადა ჰკარგვენ.

ძლიერ მზიური სინათლე თავის ტვინისათჳსაც მავნებელია. ხშირათ სალდათებს, რომელნიც გაუფრთხილებლათ ზაფხულში სიცხიან დღეს სამხედრო ხელოვნობას ომის გვარათ გარჯიშობენ, თამაშობენ დაემართებათ ხოლმე თავის ტრიალი, ზიდებს, პირღებინებს და ხანგი გარეტებაცა, ამიტომ რომ მზის სხივები პირდაპირ თავზედ რომ სცემენ, თავის სარქველს ახურებენ, და ტჳნში და ტჳნის განებში სისხლის ავარდნას უჩენენ. ამ სნეულებას ჰქჳან ნასიცხი. ამას მსწრაფად ექიმის წამლობა უნდა და ჯერ უნდა ფრთხილათ ბნელს და გრილ ალაგს დააწჳნონ თავზედ ცივი წყალში დასველებული ნაჭრები უნდა დაადონ, კეფაზედ სამდოგვები დააკრან, აგრეთვე მხრებზედ და წჳვების კუოებზედაც. მარილით ოყნა გაუკეთონ, მერმე კეფაზედ კოტოში ანუ წურბელები დაასხან და მკლავიდგან სისხლი გამოუშვან.

ყოველ თავის ტკივილს, როგორც უნდა იყოს ძრიელი სინათლე აწყენს. ავათმყოფები ამას თითონვე იგებენ და ცდილობენ სინათლის მოშორებით დაწვნენ, სადაც უფრო ესიამოვნებათ ხოლმე. აქ არამთუ უნდა დაუშალონ, პირიქით, როგორათაც წამალი უნდა ურჩიონ— მოსვენება და საწოლისათჳს ბნელი ალაგი, მაგრამ სი-

ნათლე ჭლექიანებისათვის, სატკბურიანებისათვის და სურა-
განდიანებისათვის, ძალიან მარგებელია. ამ გვარი ავათმ-
ყოფები უნდა ხშირათ ფანჯარასთან დასვან და კია და-
რში გარეთ გამოიყვანონ, როგორც წმინდა ჰაერისათვის
ისრე მზის სინათლისათვის. მზის შუქი აგრეთვე სასია-
მოვნოა სულით ბრძოლისათვის. უკანასკნელ მინუტში,
როდესაც შეატყოთ, რომ კაცი სულსა ლევდეს, უნდა
იმის საწოლიდგან შირმა მოაცალოთ, ფანჯრებიდგან
ფარდები და თავისუფლად სინათლე იმასთან უნდა შეუ-
შვათ, რომ ამით მაინც ასიამოვნოთ კაცი უკანასკნელ
თავის სიცოცხლის დროს.

მსუბუქი სინათლე თუალს ამიტომ ასუსტებს, რომ
როდესაც კარგი სინათლე ვერ არის უნდა კაცმა მალე
მალე ახლო დახედოს და თვალი გაუშტეროს იმ საგნე-
ბსა, რომელნიც უნდა დაინახოს,—მაშასადამე ბევრი სა-
მუშაო უჩნდებათ თვალებსა, იღალებიან, და დაღალულო-
ბისაგან ჩვენი ორგანები ჯერ სუსტდებიან, მერე რო-
გორც ყველა მაშინა, რომელიც მუშაობს ყოველთვინ,
ისრე ხდებიან: საკუთრად თვალისათვის ის მსუბუქი სი-
ნათლე მავნებელია, რომელიც ბინდისას არის ხოლმე,
ე. ი. დილით მზის ამოსვლამდე და საღამოობით მზის
ჩასვლის შემდეგ. ბინდის სინათლეც მზის სინათლეა,
მაგრამ ეს სინათლე პირდაპირ მზიდგან კი არ მოდის,
არამედ ჰაერიდგან დედამიწაზედ გარდაეცემა ხოლმე. ეს
ამ რიგათ სწარმოებს. დილით მზის ამოსვლამდე, რო-
დესაც დედამიწა ჯერ ისრე არ გადაბრუნებულა, რომ
მზე ჩამდეს, და იმის სხივები დედამიწამდინ ვერ მოი-

დიან, მხოლოთ ჰაერს ანათებენ და აქედგან განათლებული ჰაერი თავის სხივებს ისვრის, რომელნიც იქნამდინ უღრუბლოთ და ბინდათ ანათებენ ქვეყანასა. სინამ მზე სრულებით არ ამოვა. საღამოზედ, მზის ჩასვლის შემდეგ, როდესაც ქჳეყანა მზიდგან გადმობრუნდება, მზის სხივები მხოლოდ ჰაერში რჩებიან, და ჰაერიც იქნამდინ უღრუბლოთ და ბინდათ ანათებს სანამ სრულებით მზის სხივები არ დაიკარგებიან, ამ გვარს გადმოცემულ სინათლით მთვარეც ანათებს. მთვარე ისეთი პლანეტია, როგორათაც ჩჳენი ქჳეყანა. იმას თავის სინათლე სრულებით არა აქვს. ნათლის სხივები მზიდგან ეცემიან მთვარესა და იმას რომ გაანათლებენ, მერმე ქჳეყანაზედ გადაიცემიან. მთვარის სინათლეზედ ანუ ბინდისას კაცმა თვალებით არ უნდა იმუშაოს: ე. ი. არ იკითხოს, არა სწეროს, არა ჰკეროს და სხ. უღრუბლო მთვარის და ბინდის სინათლე მალე ახდენს და თვალის მხედველობას უსუსტებს ხელოვნური განათლება ლამპებით, სანთლებით, მკჳარით თუმცა მომეტებულათ არა, მაგრამ კაცისათჳს ცოტათი მაინც მავნებელია. უკეთესი იქნებოდა, რომ ეცადნათ. თავის წვრილი მუშაობა დღით მზის სინათლეზედ გაეთავებინათ და ეს ლამპები და სხ. მუშაობაში აღარ ეხმარნათ. მაგრამ ჩჳენს ქჳეყანაში ეს არ შეიძლება, ამიტომ რომ დღეები საკუთრივ ზამთრისა პატარანი არიან და ღამეებიკი დიდები.

დასარწმუნებლად ხელოვნობით სინათლის მავნებლობაზედ, ავიღოთ მაგალითად ჩჳენ დიდკაცის ქალბატონები, რომელნიც მომეტებული ნაწილი თავის სიცოცხლი-

სა სამთლებისა და ლამპების სინათლეზედ ვეჩრებში და ყრიალობაში ტანცაობენ, და უკეთეს დღის ნაწილს, ძი-ლით, სძინამთ. ეს ქალები ყოველთჳნ ზანტები, ფერ-წასულები, გამხდრები არიან; იმათში კაცი ძჳრათ იპო-ვნის იმისთანა ქალს, რომელიც ფერ წითელი იყოს ანუ ღონე ჰქონდეს. ისინი თავის სიმდიდრეში გვანან იმ სა-წყლებსა, რომელნიც თავის გარემოების მიზეზით სცხო-ვრობენ ბნელ სარდაფებში, ქოხებში, რომელშიაც მზის სინათლე არ შედის. ეს საწყლებიც ყოველთჳნ სუსტნი, უძლურნი და სნეულნი არიან.

გასანაილებელი ნივთები ბევრია. ზოგი გლეხ კაცი თავის ქოხში ღამე მკჳარს ანთებს, რომლიდგანაც ორ-ნაირი მავნებლობა წარმოსდება პირველი ესა, რომ მკვა-რი სწორეთ არ იწვის, თითქო ხამხამებს და თვალებს ახდენს, ამიტომ რომ სინათლის სხივები თვალთან სწო-რეთ არ მიდიან, მეორე ესა რომ მკვარს კვამლი აზდის, რომელიც თვალსა სჭამს, ცოტცოტა ანთებას უჩენს. რო-მლის მიზეზით თვალი უეჭჳელად ხდება. ქონის ჭრაქე-ბიც მკვარზე უკეთესნი არ არიან: ჭრაქის უღონო სი-ნათლე და უგარის ლაზი, რომელიც ქონიდგან ამოდის, თვალებს ახდენს და კაცს თავის ტკივილს უჩენს. ჭრა-ქები დერეფნისათჳს და ფეხის ადგილებისათჳსაც არ ვარ-განან. ქონის სამთლები, რომელთაც იაფობისათჳს ღა-რიბი ხალხი ხმარობს, თვალებზედ ისრე მოქმედობენ, როგორათაც ჭრაქები, იმათი სინათლეც უღონოა, იქი-დგანაც უგარის ლაზი იყოფება, სავუთრივ მაშინ, რო-დესაც ქონი წმინდა ვერ არის და პატრუქიდგან კომლი

ასდის, ყველამ იცის, როგორი სულის შემაგუბებელი და უსიამოვნო სული დადგება ხოლმე ოთახში, თუ ქონის სამთელს ცხვირი მოხოცა და კარგა არ გააქრო კაცმა:—თუ ამ სუნით კაცმა რამდენსამე წელიწადს ისუნთქა, რასაკვირველია არც თავი ექნება იმას კარგათ და არც თვალები. სამარხო ზეთით ანთებული ლამპები, თუ წმინდათ შეინახა კაცმა და კარგათ მომართა ხოლმე, ქონის სამთლებზედ უკეთესია. ამათ თითქმის თუმცა ყველგან ხმარობენ, მაგრამ მაინც კიდევ ერთი უბედურობა მოხდება ხოლმე: ლამპის ახლო სინათლე ძალიან ძლიერია, ასე რომ იმისაგან თვალები ასტკივდება. მორსკი ლამპის სინათლე ვერ მიდის, უღონოვდება და თუ ოთახი ცოტა მოდიდოა ერთი ლამპა არა კმარა. ლამპით განათლება ამიტომ არის კარგი, რომ ოთახში კარგი სინათლე იყოს, მაგრამ ლამპასთან მუშაობა, კითხვა, წერა, ყოველთვის მავნებელია როგორც ლამპა ახლო ძლიერ ანათებს და ამასთანვე უსწოროთ. კარგია რომ ლამპას მარწვი ბროლის ბურთი ჩამოაცვარონ, მაგრამ მაინც იმასთან არ უნდა იმუშაონ, ამას მხოლოდ ოთახის განათლებისათვის აფარებენ

ამ უკანასკნელ დროში ტფილისში გააჩინეს ნავთი, რომელსაც ლამპებისათვის სამარხო ზეთის მაგივრად ხმარობენ. ეს ნავთი იმისთვის არის კარგი, რომ იაფია და თუ წმინდათ არის მომზადებული უგარი და მჭვარტლი არა აქვს ჯერ ეს საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ ეხლა შეამჩნიეს, რომ ამ ნავთებში ცუდი გვარი ნავთებიც ურევია, რომელსაც არც სუნი უკარგა და მჭვარტლიც ისეთი

ნაირი აქვს, რომ თუ კაცმა დიდი ხანი ისუნთქა იმ ჰა-ერით, რომელშიაც ეს ჭვარტლი ერევა უწმინდურის ზე-თიდგან, ორივ ცხჳრის ნესტოებში ჭვარტლი გაუჩნდება. თჳთონ ეს ჰაერი რასაკჳრველია, რომ სუნთქვისათჳს არ ვარგა. როგორც ამ საქმის გასწორება არ შეგვიძლიან, ჩუენ მხოლოდ უნდა ვეცადნეთ და ამ ზეთის მექარხანე-ებსაც ვსთხოვოთ, რომ ისინი სჳნიდისიანათ მოიქცნენ ამ ზეთის გაკეთებაში და შეიბრალონ თავის მუშტე-რები.

ოთახების გასანათლებლად, რომლებშიაც კაცი ყოველ-თჳს არა დგას მაგ. მაღაზიებში, დუქნებში, ხმარობენ ერთ გვარ საწვავ ღაზს, რომელსაც ჰშოულობენ კლდის ნახშირში (**Каменнiй уголъ**). ის თუმცა უფრო სინათლი-ანია და კარგათაც იწვის, მაგრამ იმ ოთახებში დასანთე-ბათ არ ვარგა რომლებშიაც ხალხი სცხოვრობს, ამისა-თჳს რომ უგარს აჩენს და მთელ ტანსაც უხდენს კაცს, თუ ხშირად იმ ოთახში იმისაგან ლამპა სკდება ხოლმე. ღაზი ხყოქს ლამპასა, რომელშიაც ანთია ოთახს ედება და ისეთი ძალა აქვს, რომ ხანდისხან კაცსა ჰკლავს.

ქუჩების განათლება ძალიან საჭიროა; ფანჯრების მასა-ლებათ სხჳა და სხჳასა ხმარობენ; საწვავ ღაზსა, ზეთსა, ქონსა. ამ საქმის ზრუნვა ქალაქის მართებლობისაა; მა-გრამ მე უნდა მოგახსენოთ ამ განათლების ერთს უმთა-ვრესს ნაკლულევანებაზედ, რომელსაც თჳთან ქალაქის მცხოვრებნი გაასწორებენ, თუ გამოიმეტეს რამე შკეოეს ქუჩების გასანათლებლად, რომელიც ყოველი კაცისათჳს სასარგებლოა. ეს ნაკლულევანება იმისაგან წარმოსდგება,

რომ ფანჯრები ხშირათ ისრე შორი შორს ანთიან და ცუდათ იწვიან, რომ არამთუ თვალის სინათლესა შველიან, და პირიქითაც უშლიან. ღამე შეიძლება როგორმე კაცმა დააჭყიტოს თვალები, ამისგამო დაჩვევიან ბნელაში და საგნებს გაარჩევენ; თუ ცა მოღრუბლული არ არის და ვარსკვლავები ჩანან. ისრეკი, როდესაც ქუჩებში დავდივართ, რომლებშიაც აქა იქ და ცუდათ ფანჯრები ანთია, ყოველთჳს ხან ისეთ პატარა ალაგს გავივლით, სადაც ფანარი ანთია და ხან სიბნელეში, რომელიც უფრო ამიტომ მომეტებულათ გვეჩვენება ხოლმე, რომ ერთ მინუთში სინათლიან ადგილიდგან უცებ სიბნელეში გადავდივართ. ამისგამო თვალის სინათლე კაცს ეკარგება, თვალები უბინდდება და ფანარიც განათლების სამაგიეროთ პირიქით გვიბნელებს, ამისათჳს რომ იმის სინათლე მეორე ფანრამდინ ვერა სწვდება ხოლმე. ამ გვარი მსწრაფლივ გარდასვლა სინათლიდგან სიბნელეში და სიბნელიდგან კიდევ სინათლეში თვალებს იმას უშლის, რომ ვეღარ ერჩევიან სხჳა და სხჳა საგნის კარგათ გარჩევასა.

ასრე ყველა განმანათლებელნი მასალები, რომელნიც მე აგიწერეთ მავნებელნი არიან თვალისათჳს. მხოლოდ მე დამრჩა ახლა, რომ სტერინისა და წმინდა სამთლებზედ მოგახსენოთ. აი ეს ნავთები კი, საკუთრივ წმინდა სამთლები მართლად უვნებელნი არიან და მომეტებული ნაწილი პატარა მუშაობისათჳს არიან კარგნი. მაგრამ კაცს კი ფიქრათაც არ მოუვა, იმას ფასი ძალიან დიდი აქვს და არ ვიცი გაიაფდება როდისმე სტერინის სამთლები თუ არა, და მგონებ ამაზედკი უნდა ვიფიქროთ

საწყალთ სარგებლობაზედ, რომელნიც ღამით მუშაობით საჭმლის ფასს მოულობენ.

კაცი რომ კარგ ხელოვნურ განათლებაზედ ცდილობდეს, უნდა სამთელს ანუ ლამპას ისეთი ადგილი ამოურჩიოს, რომ თავის სინათლით ხედვასკი არ უშლიდეს, არამედ შველიდეს, ამისგამო კაცი რომ სამთელზედ სწავლობდეს უნდა იმაზედ ეცადოს, რომ სამთლის ანუ ლამპის მოკიდებული პატრუქი თავს მაღლა მოთავსებული იყვეს, რომ წიგნი, ვსთქჳათ ვინცა ჰკითხულობს, კარგათ განათლებული იყვეს, მაგრამ სამთლის სინათლე კი პირდაპირ თვალებში არ უნდა სცემდეს,—მაშა სადამე უნდა მაღალი შანდალი იყვეს, ამიტომ რომ სამთელი რო დაიწვას და ნამწვი დარჩეს უნდა მოკიდებული პატრუქი პირდაპირ მკითხველის შუბლთან იყვეს; იმას გარდა თჳთონ შანდალი უნდა მობინდო იყვეს. ყოველი ბრწყინვალე ნივთი ღონივრათ გარდასცემს თავის სინათლის სხივებსა, მაშასადამე ისიც ანათებს და ამისათჳს ჩუჩნი ჩვეულება არ უნდა აქოს კაცმა ე. ი. სპილენძის შანდლების ქონვა, მინისა, ვერცხლისა ერთის სიტყვით ელვარევანი, რომლებიდგანაც ყოველთჳს იმათი საკუთარი სინათლე თვალებსა სცემენ. ყველა შანდლებზე უკეთესა ძვლისანი, ხისანი არიან და თუ მეტალისა იხმარა კაცმა უნდა ბნელი შანდალი იყვეს.

წინათ მე თქჳენ მოგახსენეთ, რომ დაქოლილი კითხვა არ ვარგა მეთქი, მაგრამ არიან ზოგნი, რომელთაც ამას ვერაფრით ვერ გადააჩვევთ. ვისაც ლოგინში ღამე კითხვა უყვარს, უნდა უეჭველად ახლო დაიდგას სამთე-

თელი, რომ თვალები არ ეტკინოს; ყველაზე უკეთესი იქნება, რომ სამთელი უკან დაიდგას, რომ ალი მარტო წიგნსა სცემდეს და არა მკითხველის პირის სახესა, გვერდზედ სამთლის დადგმა არ ვარგა და თუ სამთელი თვალების პირდაპირ დაიდგა ვინმე წიგნსა და პირის სახეს შუა, იმათზედ ალარას ვიტყვი, თუმცაკი უნდა მოუგახსენოთ, რომ ამ გვარი უგუნური მკითხველიკი ბევრი მინახამს. ერთობ გირჩევთ, ღამე რომ მუშაობდეთ, უნდა ეცადნეთ, რომ სამთლის ალი თავზეით იყვეს, მხოლოდ სინათლე მაშინ არ აწყენს, რასაკვირველია, რომ სინათლე როგორიც უნდა, ისეთი იყვეს.

## ლექცია. XVIII

სმენა, ხმა, ყურის დაწყობულება, და იმის მოქმედება.

გარეგანი გრძნობანი: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება, ახალშობილ ყმაწვილს ყოველთჳნ ძალიან სუსტათა აქვს, ცუდათ მუშაობენ, ტვინს აცნობებენ საგნებზედ ძალიან არეულად და უსწოროდ. მხოლოდ მერმე ცოტ ცოტა ზრდასთან და სხეულის გამაგრებასთან, კაცი არჩევს ხსნის გრძნობის ორღანებს, — ამისათჳს უნდა რომ ეს ორღანები ყოველთჳს სწავლაში იყვნენ, რომელიც მართლად ისრეა ხოლმე პირველ დღებიდგან. პირველ დღეებში დაბადების შემდეგ მაგალ. ბავშვი არჩევს სინათლესა და სიბნელესა. მაგრამ არც ფორმა და არც ფერი არ ესმის იმ საგნებისა, რომელნიც

იმის წინ იმყოფებიან და არც შეუძლიან მოიაზროს ახლოა თუ შორს იმისგან საგნები. ის ერთგვარად უშვერს პატარა ხელებსა, რომ ლამპას დასწვდეს სტოლზედ, რომელიც იმისაგან ორ ნაბიჯზედა სდგას და აგრეთვე მთვარეს, რომელიც ისრე ახლო ჰგონია, როგორც ლამპა. ყმაწვილი მარტო თვალებს და გონებას რომ ადევნებს, მაშინ თითონვე დაიწყებს ცნობასა ფორმისას და სიშორეს ერთის ნივთიდგან მეორემდინ. ესევე დაემართება ხოლმე სმენასა, რომელიც მხედველობაზედ უფრო გვიან დაიწყებს სწორე მოქმედებასა და ხმების გარჩევასა. პირველ დღეებში ბავშვი მარტო სხვა და სხვა ხმებს უგდებს და ადევნებს ყურსა, მოიფიქრებს თავის სახელს და ისწავლის და მერმე დაეჩვევა სხვა და სხვა ნივთების კაცების სახელებსა, რომელნიც იმის ახლო იმყოფებიან; იმის შემდეგ, როდესაც სმენა სრულებით გაუმაგრდება, მაშინ არამთუ უბრალო ხმებს გაარჩევს, არამედ მთელ სიტყვებსაც. ყოველთვის ბავშვს ლაპარაკი რომ ესმის, უფრო მომეტებულად ცდილობს იმ სიტყვების გამოთქმასა, რომელიც ესმის, ე. ი. ლაპარაკს სწავლობს და ჯერ, როგორც ყველამ იცის სიტყვებს სწორე ჯერ არ ამბობს, სანამ არ დაეჩვევა, როგორც უნდა ყურებით და ენით მუშაობასა. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ კაცი მხოლოდ მაშინ ისწავლის ლაპარაკსა, ე. ი. კაცმა, რომ ლაპარაკსა დაუწყოს სწავლა, უნდა პირველათ იცოდეს ყურის დაგდება, — და შემდეგ გაგონებით მხოლოდ შეიძლება, რომ კაცის ლაპარაკი ისწავლოს. მაშასა-

დამე. ბავშვი მაშინვე დაბადების შემდეგ რომ წაიყვანონ ისეთ ადგილს, სადაც კაცის ლაპარაკი არ ისმის, ის თავის სიცოცხლეში მუნჯათ დარჩება ამისათჳს, რომ იმას ყური არ უგდია სხვანი როგორ ლაპარაკობენ. აქედგან ყველა მიხვდება ბუნების სნეულებას, სიყრუე და სიმუნჯეს. შობიდგანვე მუნჯს პირი კარგათ აქვს, გამართული ენა, სასულე როგორც სიმრთელიან კაცს, მაგრამ პირველადვე ყრუ არის, — ყურებში იმას წამხდარი რამე აქვს, რომელიც შობიდგანვე თან დაჰყოლია, ამის მიზეზით არაფერი არ ეყურება, მაშასადამე ვერც ლაპარაკი შეუძლიან, თუმცა რაც ჩვენ მომზადებულება გვაქვს, იმასაც ისა აქვს. სიყრუე და სიმუნჯე მოურჩენელი სნეულებაა, სმენის გასწორება ძნელია, უსმენოთ სიტყვაც არ შეიძლება, ყრუ და მუნჯს კაცის ლაპარაკი. რომ არ ესმის, ყოველთჳს უგუნურნი, შეუპოვარნი და საიჭვონი არიან, თითქო ხალხის ეშინიანთო და არცარაფერი სჯერათ, ესენი არიან საცოდავნი ავათმყოფნი, რომლებზედ დიდი ხნის კეთილმა ხალხმა დაიწყო იმათთჳნ ზრუნვა და თავის მზრუნველობაში იქამდინ მიაღწიეს, რომ მოიგონეს ისეთი ღონისძიებანი, რომლითაც ყრუ და მუნჯებს ასწავლიან ხელობას და სხვა და სხვა მუშაობის გარდა, წიგნის წერასა და კითხვასა. ამისათჳს. როგორც ყრუ და მუნჯის ყურები არ მოქმედობენ, თვალებიდგან ტვინს აძლევენ სხვა და სხვა ცნობებსა. ე. ი. მოიგონეს სხვა და სხვა ნიშნები, თითებით მოძრაობანი, — ყოველი მოძრაობა ნიშნავს რომელსამე ასოსა და ეს მოძრაობანი რომ ისწავლეს, მერმე როგორც სიმრთელიანი

კაცი, წიგნს ისრე სწავლობენ. თუმცა ეს სწავლა ძნელია, მაგრამ კეთილი ხალხი არასა ჰზოგავს ამაზედ არც შრომასა და არც დროსა — და ეხლაც ბევრია ყრუ და მუნჯი რომელთაც წიგნი კარგათ იციან, შეუძლიანთ სამსახურში შევიდნენ და მოხელეს ყოველი თანამდებობა აასრულონ. ყური არის სმენის ორგანი. ის აცნობებს ტვინამდინ ხმაზედ. რა არის ხმა, ან თავის ტვინამდინ როგორ მიდის?

ყველას, რაც ჩვენს ახლო გვესმის, კაცის ლაპარაკი, ჩიტის ჭიკჭიკი, მუზიკა, რახუნი, ტკაცუნი, ყველა ამას ჰქვიან ხმა, და ყურში გვესმის.

ყოველმა ნივთმა, რომ ხმა ამოიღოს, უნდა დაიწყოს ნძრევა და კანკალი. მაგალით. მავთი, რომ ავიღოთ, კარგათ გავჭიმოთ, ორივე წვერი მივაკრათ რაზედმე და თითით შუაგულაში შევანძრიოთ, ვნახამთ, რომ მავთი კანკალს დაიწყებს. ერთის ბოლოდგან მეორემდინ ნძრევასა და ამას გარდა ბზუილსა, როგორათაც სიმი, როდესაც ქამანჩას უსმენ.

კანკალი, როდესაც ჩვენ გაჭიმულ მავთზედ ვხედამთ, თუმცა ყოველ ნივთს, რომელიც ხმას იღებს, აქვს, მაგრამ ჩვენ ვერ ვამჩნევთ. მაგარი შედგენილობის ნივთები, ხე, ქვა, რკინა, — ხმის ამოღების დროს შუაგულაში შეჭველად კანკალობენ, ეს კი ამ გვარათ მოჰქმედებს: ვგერით დიდ ქვას ერთ ალაგს, რო დავკრათ, მაშინ ის ქვის ნაწილები, სადამდისინაც კვერი მოხვდებათ იწყებენ კანკალსა, ძვრასა, როგორათაც აღელვებული წყალი და ესე რომ იძვრიან, ხვდებიან ახლო სხვა ქვის ნაწილებსა. ესენიც თავის გვარათ იწყობენ ძვრასა და ხვდებიან იმ

ნაწილებსა, რომელნიც იმათთან აწყვიან და ამათჳთ ნაწილების კანკალი მეორე ქჳს ბოლომდინ სწვდება და იქ შეიძლება გაიგონოს კაცმა გვერის ცემის ხმა, რომელიც მეორე მხარეს იწყობს. შეაგული ნაწილების კანკალი, ე. ი. ხმა, როგორათაც მაგარ სხეულში იქნება ისრე თხელში და ღაზებრივ სხეულში ჯაერსაც მოაქვს ხმა და ამის გამო ხმები ჩუენს ყურებამდინ მოაღწევენ ხოლმე, აი როგორ წარმოსდგება; როდესაც მე თქვენ გელაპარაკები, ჩემი სიტყვები ჯაერს ხვდებიან, რომელიც ჩემს პირთან არის და ჯაერში ზვირთი წარმოსდგება, ეს ზვირთი ხვდება სხვა ჯაერის მკეცსა და ეს მკეციც დაიწყებს ძვრასა და აგრეთვე სხ. ერთი ზვირთი მეორეზედ და ბოლოს ხმა თქვენ ყურამდინ მოდის; უკანასკნელი ზვირთი შედის ყურში და მოაქვს ჩემი სიტყვები სულ გურთინსათ, რომელნიც ყურიდგან ტვინამდის მიდიან და ტვინიც გრძნობს და ესმის, რასაც მე გელაპარაკები.

ამ გვარათ იმკრიან ჯიანურზედ სიმები, როდესაც ქამანჩას უსვამენ, ფორტეპიანოზედ როდესაც კლავიშებით (*) სცემენ სიმებსა—ჯიანურიც და ფორტეპიანიც უკვერენ, ე. ი. ხმას იღებენ სიმებზედ ცემით. ჩასაბერავ საკრავს კი ამ რიგათ უკვერენ: კაცი საკრავში ბერავს ჯაერსა, ჯაერი აკანკალდება, ზვირთით სცემს საკრავის გვერდებსა და ხმას იღებს. ამ ჩასაბერი საკრავისაგან მომართულია ცხოველის სასულეცა, რომელნიც ხმას იღებენ

---

(*) ფოველი მკალი, რომელნიც ფორტეპიანოზედ ჩაწყობილნი არიან და თითებით სცემენ.

მაგ. ფრინველებსა, მხეცებსა და კაცსა. მეთორმეტე ლე-ქციაში, როდესაც გიხსნიდით სასულის იარაღის შედგე-ნილობაზედ. მე მოგახსენეთ, რომ სასულეს შუა, იმ ადგილას, სადაც ყაყრანტოა, ამ ყაყრანტოს შესავალი ვიწროვდება ამისთჳს, რომ აქ არიან რამდენიმე წვრილი და მოკლე აფსკები, რომელნიც ბრუნდეთ მიდიან ერთის კაკნატელიდგან მეორემდინ და შეუძლიანთ შეიკრუნჩხონ და გაიშალონ. ეს აფსკებიც სიმებსავე იჭიმებიან როდე-საც გვინდა ლაპარაკი, უხილავთ ფილტვებიდგან ჰაერს ამოვისუსთქამთ ხოლმე; ზეით სასულეში, რომ ამოდის ჰაერი ხჳდება ამ აფსკებსა, ისინი დაიწყებენ ძვრასა და განკალსა;—და ამისგამო ყელში ჩნდება ხმა, რომელიც ჰაერთან გამოდის და ხვდება მეორე კაცის ყურებსა. ესრე წარმოსდგება ყველა ცხოველის ხმა; მაგრამ კაცს, ხმიდ-გან სიტყვები ებადება, აქკი უნდა, რომ პირში ხმა კარ-გათ განაგოს, აქ სიტყჳა, რომ გამოვიდეს, ამისათჳს ენა და ყბები მუშაობენ. ეს მუშაობა ძალიან სასიამოვ-ნოა გასაგებათ, მაგრამ აქ იმის ახსნის ალაგი არ გახ-ლავთ.

---

რამდენიც ნივთი მაგარია, იმდენი კარგათ მიაქჳს ხმა. ყური, რომ კაცმა დედამიწას დაადოს, უფრო კარ-გათ შეიძლება გაიგოს რისამე შორით ხმა, მინამ პი-რდაპირ ჰაერში, რომელიც უფრო თხელია მიწაზედაც და წყალზედაც. უბრალო ხალხმა ეს კარგათ იცის და ომის დროს როდესაც ჯარი ერთის ადგილიდგან მეო-

რე ადგილს იყრება, გლეხკაცი გაწვება დედამიწაზედ, ჯა-რის და ცხენების ხმაურობას ყურს უგდებს, რომელნიც ისრე შორს არიან, რომ ჰაერში კაცი სრულებით ვერ გაიგონებს. გაქცეულმა როდესაც იცის, რომ, იმას ცხე-ნებით მიზდევენ დასაჭერათ, ამიტომ წვება დედა მი-წაზედ, ადებს ყურსა და იგებს როგორ შორს არიან იმის მდევრები ან საით მხარეზედ ეპარებიან. საათის ცემა, თუ საათი სტოლზედ სდგას, უფრო კარგათ ის-მის, მინამ რომ კედელზედ ეკიდოს, ამიტომ რომ იმის ხმა ჰაერშია, ყურთან მიდის. ჩვენი გულის ცემას დადგო-მილა ანუ დაკვდომილა ხმა, სინამ ყურთან მივა ჯერ უ-ნდა კუთებსა და კანს შუა გავიდეს და მერმე ჰაერში; მაგრამ კაცი რომ გმელ ხეს ანუ ქვს ტახტზედ გაწვეს და მარცხენა მხარი და ყური მაგრათ დააჭიროს ტახტს, მაშინ თავის გულის ცემას კარგათ გაიგებს.

წყალში ხმა უფრო კარგათ გადის მინამ ჰაერში, მა-გრამ მაგარ ნივთებზედ კი უფრო ცუდათ. ჰაერში, რო-გორც მაგარ და თხელ ლიზში, ხმა წყალზედ და მაგარ ნივთებზედ უფრო კარგათ ვერ მიდის, მაგრამ თუ ჰაერი სქელი და მაგარია,—მაშინ ხმა უფრო დიდი ისმის. აი-რისთჳს, როდესაც ყინვის დღეს ჰაერი სიცივისაგან მო-ჭერილი და სქელია, ყველა ცხოველის და კაცის ხმა უ-ფრო როგორ მჭრელი და მაღალია პირიქით მაღალ მთე-ბზედ, სადაც ჰაერი ცოტა და ძვრია, კაცები რომ ლაპა-რაკობენ ერთმანერთის ლაპარკი კარგათ ვერ ესმით და იმათ ასე ჰგონიათ, რომ ყურს მოგვაკლდათ.

ხმა მინდორში, გარეთ ანუ დიდს ოთახში, აქეთ იქით

წავა და მთლათ ყურებთან ვეღარ მიდის, და ვიწრო ად-გილებში, ოთხსავე მხარეს შემოკედლებულში ყურში ჟ-ღერო კარგათ ისმის. ყველამ იცის, როგორ მაღლაა იმის ფეხის ხმა ვიწრო დერეფანში, აბა ახლა გარეთ გამობმა-ნდით და გამოიარეთ იმავე სიარულით, როგორ ნელა ისმის თქვენი ფეხის ხმა. თუ კაცმა რამდენსამე ოთახის სიგძეზე გაზდო. კედელთან, დიდი, შიგნიდგან ცარიელი ლულა და ერთს იმის ბოლოს კაცმა, ჩურჩულით სიტყ-ვები წარმოსთქვას რამე, მაშინვე მეორე ბოლოს შეი-ძლება კარგა გაიგონოს, თუმცა ბევრს ოთახებს შუა კი უნდა გავიდეს: აქ ხმა ვერ დაიშლება და მთლათ ერთის ლულის ბოლოდგან მეორე ბოლოში გადის.

სასმელნი ჭვერის ზჯრთინი, ერთს ადგილას იწყობიან, აქედგან შორს მიდიან, ყოველ მხარეს იშლებიან და იკა-რგებიან, ე. ი. რამდენსამე ხანს უკან ჭვერი განკალს თავს დაანებებს, დამშჳდდება და ხმა გათავდება. მაგრამ თუ ეს ზჯრთები გზაზედ მაგარ ნივთს მოხჳდნენ, შეუძლიანთ გარდაიცნენ, ახტნენ, როგორც ალაგიდგან ბურთი, და სხვა ხმა გამოიღონ, რომელიც სრულებით პირველ ხმას ეგვანება, ამ ხმის გარდაცემას ჰქჳან ხმის გამოცემა ხმისაგან, კაცის სიტყვებისაგან იმ ადგილას მოხვდება, სადაც ჩვენ ხმას მაგარი ნივთი შეხვდება და იქიდგან გარდაიცემა,—ე. ი. ტყეში, მთებში, გრძელს ოთახებში, ვიწრო დერეფნებში, მინდორში ხმის გარდაცემა არ შე-იძლება, ამიტომ რომ ხმა ვერაფერსა ხვდება, მთებშავი ერთი ქუხილის ხმა რამდენჯერმე გარდმოიცემა, ამიტომ რომ ერთის მთიდგან რომ გარდაიცემა, მეორეს ეცემა

აქედგან მესამეს და ამაობით ერთი და იგივე ხმიდგან
მრავალი ხმა გამოდის.

---

ხმა ხომ აგიხსენით რა არის, ან რისაგან შესდგება,
ეხლა უნდა მოგახსენოთ, ყოველი ხმა ტჳნამდინ როგორ
მიდის. ამისათჳს უნდა ჯერ შეგატყობინოთ ყურის შე-
დგენილობა და იმისი წარმოება.

ყურის ადგილი როგორც იცით, იწყობა გარეგანის
ხვრელით, თავის სარქველის გვერზედ, სასაფეთქლე მკა-
ლში. ამ ხვრელის გარშემო არის განით დაფარებული
გაგნათელა, რომელსაც ძაბრის ფორმა აქვს. ეს ფორმა
ყურს უეჭველად უნდა ჰქონდეს, ამიტომ რომ ხმა ყუ-
რში რომ შედის შეიკრიბოს აქ როგორც რომ მილში
დაუფანტავად ყურში შევიდეს. ბევრ მხეცს მაგ. ცხენებს
შეუძლიანთ თავისთავათ ამ გაგნატელის მოძვრა, შევიწ-
როვება, გაგანიერება და მილსავებ იქით მხარეს დაჭერა-
საითაც ხმა მოდის, ერთის სიტყვით, რომ გსთქჳათ,
ყურების მოძრაობა, როგორც იცით, უკუოებოთ არ
შეიძლება, ამისათჳს მხეცებს აქვთ ყურებს უკან პატარა
ხორციანი კონები, რომელნიც ერთის ბოლოთი თავის
სარქველის მკალს ეკვრიან და მეორეთი ყურის გაგნატე-
ლას. ამ გვარი კუთები კაცსაცა აქჳს, და თავისთავათ
ყურებს ისიც ამოძრავებდა, მაგრამ პატარობითვე, რომ
არ ვაჩვევით, ამ კუთებს არ ვამუშავებთ, ამისათჳს ისინი
არიან სუსტნი, წვრილნი, და ვერ მოქმედებენ.

მეცნიერებაში ყურის გაგნატელას ყურის ლოკოკინას

ეძახიან (და მართლათაც ლოკოკინას ბუდეს გავს). გა-რეგან ყურის ნახვრეტსკი ეძახიან გარეგან სმენის შესა-ვალსა.

სმენის შესავალში ხშირათ თმა ამოდის და ყოველთვის განიდგან, რომელიც შუაში მოფენილა, გამოდის ერთ-გვარი მსუქანი ნივთიერება, რომელსაც ყურის ჩირქს ეძა-ხიან. ცოტაოდენი ყურის ჩირქი ყოველთვის ყურებში უნდა ჰქონდეს კაცსა; მაგრამ უსუფთაო ხალხს ეს ჩირქი იმდენი შეუგროვდებათ, რომ გასქელდება, უკრავს გზას მთელ ყურის შესავალსა და უშლის ხმას, რომ თავისუ-ფლად ყურში შევიდეს და თუ ხმა გარედგან ტკნამდინარ მიდის, მაშინ რასაკვირველია, რომ კაცს არაფერი არ ესმის. დროებითი სიყრუე ჩირქისაგან ხშირათ დაემარ-თებათ ხოლმე. რომ ის მოარჩინონ, უნდა უეჭველად შესავალი გამოსწმინდონ, ამისათვის ყველაზე სამჯობინოა რომ ხელსახოცის წვერი დაახვიოთ და იმითი გამო-იწმინდოს ჩირქი, და თუ იმაში ძრიელ გასქელებულა,— უნდა ყურში ჩასწვეთონ თბილი ძროხის რძე ანუ ნელ-თბილი წყალი. ყურის გამოსაწმენდლათ ჰყიდიან ყურის საჩიჩქნსა, მეტალის პატარა კოვზებსა, რომლითაც ჩირქი გარგათ გამოაქვთ; მაგრამ გირჩევთ, რომ ამ ყურის სა-ჩიჩქნებს ერიდებოდეთ და არ იხმაროთ, ამიტომ რომ ყურის შესავალს ძალიან აწუხებენ და ამისგამო განში უფრო მომეტებულათ ისხმის სისხლი და ბევრის სისხ-ლისაგან ბევრი ჩირქი იყოფება; მაშასადამე ყურის სა-ჩიჩქნები უფრო ჩირქს უმატებენ მინამ უკლებენ

გარეგანის სმენის შესავალი შორს არ მიდის. წინდის

ჩხირით რომ ნახოთ, მალე გაიგებთ, რომ მართლაც მოკლეა. სადაც ეს შესავალი შემოღობილია გაზმული წვრილის აფსკით, რომელიც ძევს ყურის სიღრმის სიგანეზედ, და იმის გვერდებზედ შეხორცებულია. ეს აფსკი ისრეა გაკრული როგორც დოლზედ ტყავი, ამისათჳს მეცნიერებაში დაფის აფსკს ეძახიან. მაშასადამე, სიმრთელიან კაცს თუ დაფის აფსკა მთელი აქჳს, ვერაფერს ვერ შეუძლიან გარეედგან ღრმად ყურში შევიდეს და აქედგან თავის სარქველში, ან მწერი მოხვდება მოულოდნელად ყურის შესავალში (ეს ხშირად დაემართება ხოლმე წყილსა). ან ბანაობის დროს წყალი ჩაისხმის, ყველა დაფის აფსკის აქეთ რჩებიან და ბოლოს ყურში შესვლა არ შეუძლიანთ ხმის გარეგათ გასაგონათ, სმენის წესიერებისათჳს უნდა კაცს დაფის აფსკა მთლათ ჰქონდეს, რომ გაზმით ყურის სიღრმეს ჰფარავდეს და თუ როგორმე მოულოდნელად გაუსკდა, — მაშინ კაცს ცოტათ ყურს მოაკლდება. დაფის აფსკა გაუსკდებათ: 1) სატკბურიან კაცებს, რომელთაც ყურიდგან ხშირათ სწვეთთ უწმინდური დამპალი ჩირქი, რომელიცა სჭამს და ხვრეტს აფსკასა; 2) უწმინდურთ, რომელნიც ყურიდგან ჩირქს არ იწმენდენ, — ჩირქი, როგორც რომ სიდამპლე ისრე სჭამს აფსკასა; 3) თოფჩებს, რომელნიც ხშირათ ზარბაზნებს, რომ ისვრიან, იქ უნდა იდგნენ, ამიტომ რომ თოფის ხმა ძალიან ძლიერათ სცემს ყურებში, — და აფსკა ვერ იჭერს; ეს შეიძლება კიდევ სხჳა ძლიერ დიდ ხმაზედ დაემართოს, ზარბაზნის გარდა; 4) კიდევ იმათ გაუსკდებათ აფსკა, რომელთაც ბანაობაში უყვართ მაღლიდგან წყალში გადავარდნა: მხოლოდ

წრაფელ და ღონიერ გადახტომაზედ და წყალში ჩავარდ-
ნაზედ, აფსკა მაგრათ გაიჭიმება და შეიძლება გასკდეს.
აფსკის გახეთქის შეტყობა და ამის შველა ექიმს შეუძ-
ლიან, მაგრამ თუთონ აფსკის გამთელება არ შეიძლება,—
ის სიკვდილამდინ გახეთქილი დარჩება.

დაფის აფსკის იქით სასაფეთქლე ძვლის სიღრმეში
გძელდება ყურის მილი მაგრათ თუთონ ტჳნამდინ, მაშ
ჰგავს, რომ ის შედის შუა თავის სარქველში და თავდება
ვიწრო ნახვრეტით. შიგნით სმენის შესავალით იმ წამსვე
დაფის აფსკის უკან ყურის სიღრმეში ჰკიდია რამდენიმე
პატარა ძვალი; და არიან გადაბმულნი ერთმანერთში წვ-
რილის აფსკებით; ძვლებს უკან ჩასხმულია ცოტა წყალი,
ამ წყალში არის მაგარი პატარა კენჭები; და თუთონ
სიღრმეში ძვალში გამართულია ბევრი შესავლები, მისა-
ბრუნებლები, თითქო ძვალში ძალათი გაუხვრეტიათო,—
და ბოლოზედ, შუაგულ სმენის ნახვრეტში გამოშვებუ-
ლნი არიან ტჳნიდგან ტჳნის ანუ ძარღვების ძაფები.
გარდა ძვლებისა, წყლისა და მაგარი კენჭებისა, დაფის
აფსკის იქით არის ყურის სიღრმეში კიდევ ჰაე-
რი, რომელიც ცხვირიდგან შედის ყოველ სუნთქვის დროს.
მეცამეტე ლექციაში მე თქვენ განიშნეთ ორს ნახვრეტ-
ზედ, რომელნიც პირის ნახევიდგან ყურებში შედიან. ამ
ნახვრეტებიდგან ორსავ მხარეს მართლა პირის ნახევიდ-
გან იწყობიან ვიწრო მილები, რომელნიც ძვლებს შუა
ყურის შინაგნებამდინ მიდიან და თავდებიან ნახვრეტე-
ბით დაფის აფსკის უკან. აი იქიდგან შედის ყოველთვის
წმინდა ჰაერი ყურის სიღრმეში, რომელსაც ყველას აძ-

ვიდრე შეუძლიან, რომ დაიჭიროს. მოუჭირეთ მაგრა ცხვირს და პირს ხელი და ამოისუნთქეთ ჰაერი გულიდგან იმ ძალით, რომ ლოყები და ცხვირის ნესტოები გაიბერნენ,—და თქვენ მაშინ გაიგებთ, რომ ამ ჰაერს პირში და ცხვირში, გამოსავლის გზა რომ არ ექნება, ყურის სიღრმეში შევა და სცემს შიგნით დაფის აფსკას იმ რიგათ, რომ თქვენ იგრძნობთ, როგორ ამოიბერება. მაგრამ კაცმა ჯილხანსკი არ უნდა დაიჭიროს, ამისათვის რომ ჰაერს მიწოლით შეუძლიან გახეთქოს დაფის აფსკა, რომ გარეთ, ცაიეკან სმენის ნახვრეტში ჰაერი გამოვიდეს. და მართლადაც ვისაც დაფის აფსკა გახეთქილი აქვს იმიდგან ჰაერი სწორეთ გამოდის, თუ რომ კაცმა ცხვირზედ და პირზედ ხელი მაგრა მიიჭირა. იქნება თქვენ გაგიგონიათ, რომ არიან ისეთნი თვალთმაქცები, რომელნიც პირსა და ცხვირს ურდა თამბაქოს ბოლს ყურებში უშვებენ. აი ამათ დაფის აფსკა გახეთქილი არა აქვთ, და მთელ ყურს ვერა ჭვრავს—და ამიტომ ბოლი პირის ნახევიდგან მილებით ყურებში შედის და სმენის მესავალში გარეთ გამოდის.

მილები, რომელნიც პირის ნახევიდგან ყურებში შედიან, შუაგულში დუყის გარსით მოფენილნი არიან; გარესზედ, როგორც იცით, ყოველთვის ლორწოა, სურდოს დროს ბევრდება. ლორწოს ძლიერ მოგროვების დროს შეიძლება მილები უწმინდურობით გაიტენონ; მაშინ ჰაერი იმათში პირის ნახვრეტიდგან ყურებში ვეღარ შევა, და კაცს ყურს სმენა მოაკლდება. აი კიდევ სიყრუეს მიზეზი, რომელსაც ექიმი უშველის, როდესაც ამ მილე-

ბის შესავალს ერთ გვარ იარაღით გამოსწმენდს. (*)

ყურის მოქმედება, ე. ი. იმის მუშაობა ის არის, რომ ხმა გარედგან ტჳნამდინ შეიტანოს. ეს ყოველთჳს სწორეთ და წესიერად მოქმედებს, როცა ყური მრთელია ხმა ყურის ლოკოკინაში, რომ გროვდება, დაფის აფსკასთან მიდის და თავის ზჳრთითა სცემს. ამ ცემისაგან თჳთონ დაფის აფსკა კანკალს დაიწყებს, ნძრევასა და ზჳრთის ცემას, პატარა ძვლებს გარდასცემს, რომელნიც იქვე იმასთან მდებარებენ. ძვლები კიდევ აკანკალდებიან და ჭიერს ხვდებიან, წყალსა, კინჭებსა, რომელნიც ყურს შუა იმყოფებიან და ამაებით ხმის ზჳრთი მიდის ყოველ ყურის მილების შესავლებში, მასაზრუნებლებში, ბოლოს ტჳნის ძაფებამდინ მიაღწევს ხოლმე და ეს ძაფებიც აცნობებენ ტჳნსა, რომ კაცის ახლორაღაც ხმას იღებსო, მაშინ ტჳნი გრძნობს, ესმის ხმა, და ყველას იგებს.

---

ყურის სიწამხდრე კაცს აყრუებს. ამ ზოგიერთ სიწამხდრეზედ მე თქვენ მოგახსენეთ ეხლა, — იმათი გაცნობა ძალიან ადვილია. მაგრა ყურის სიღრმეში, რომ

---

(*) ყველას შეუძლიან შეამჩნიოს, რომ სურდოს დროს კაცს ყური ცოტა მოაკლდება, ეს ხშირათ მოხდება ხოლმე სისხლის თავში ავარდნილობის გამო და დროებით მილების ლორწოთი გამოტენილობის გამო, რომელნიც პირის ნახევიდგან ყურებში მიდიან.

სიწამხდრე მოხდეს, იმ შესავლებში და მისაბრუნებლებში რომელნიც სასაფეთქლე ძვალს შუა იმყოფებიან და ისრე პატარები და არეულნი არიან, რომ არამთუ თქვენ მოსახსენებლათ, არამედ ექიმების სასწავლებლათაც ძნელია,—ამ სიწამხდრებს გვიან შეეტყობათ და ამისთჳს დარუებულების მორჩენა მომეტებული ნაწილი შეუძლებელია. ყურების შესანახავათ ერთ დარიგებას მოგახსენებთ:—უნდა ყურები წმინდათა გქონდეთ შენახული, ისრე არ უნდა გაუშვათ, რომ ჩირქი ყურში მოგროვდეს და ყურის შესავალში გასქელდეს და უნდა ძრიელ დიდ ხმებს არიდოთ, როგორც ზარბაზნებისა, ზარის რეკა და სხ. ვისაც სატკბურიანს ყურიდგან ჩირქი ზდის, უნდა თბილი რძე ჩაიწვეთოს ხოლმე; ეს სმენის შესავალსა წმენდს მაგრამ თჳთონ სნეულებასკი ვერ არჩენს. სატკბურის წამლობა ძალიან ფრთხილათ უნდა. ტჳნში სისხლის ავარდნის გამო, ე. ი. სისხლის მიწოლისა, სმენის ძარღვებზედ დროებით შეიძლება კაცთ ყურს მოაკლდეს, იმას თითქო ეყურება მახილი, რეკა, რომელიც კაცის ახლო სრულებითაც არ არის. ეს ავარდნა, რომ გადუვარდება სიყრუეც მაშინ დაეკარგება, მაგრამ თუ სისხლის ავარდნა ხშირი აქჳს, ძრიელი თავის ტკივილები, კაცი შეიძლება, რომ, თავის დღეში დაყრუვდეს. (*) ვისაც გარგათ

(*) ყველამ იცის დროებითი ყურის წივილი, რომლის დროსაც უბრალო კაცს უყვარს კითხვა, და ჰკითხავს თავის მეზობელს, რომელ ყურში გიწივისო. ეს წივილი ყურში სისხლის ავარდნისაგან მოხდება.—ამაზედ მეტს

ვერ ესმის ურჩევენ, რომ სმენის მილი ატარონ, რომელიც თუ კაცმა ყურზედ მიიდო და ყურები დაუგდო უფრო ხმებს ძრიელ აგროვებს, მინამ ყურის კაკნატელა, მაშასადამე ყურთ სმენას შველის.

## ლექცია XXI.

თავის ტჳნი, მგრძნობელნი ძარღვები (ნერვები) რომელნიც თავის ტჳნიდგან გამოდიან. თავის ტჳნის მოქმედება. ძილი.

თავის სარქველის ბადელაში, რომელიც ყოველ მხარე მაგრათ დაიფარებულია ძვლებით, მდებარებს თავის ტჳნი. ტჳნის მგზავსება ყველამ იცის. ეს ნივთი ზეიდგან მოლურჯოა, შიგნით თეთრი ფერი აქვს, ის შემზადებულია მსუქანი და ცილის მსგავსის გროვისაგან, რომელსაც ძალიან დიდი განსხვავება აქჳს სხჳა ჩჳენის სხეულის შემზადებულებაზედ,—ძვლებზედ, კუთებზედ, ნასკვებზედ და სხ. თავის ტჳნი როგორც იცით, (*) იყოფება დიდათ, რომელსაც უჭირამს მთელი წინა სარქველის ნაწილი, პატარათ, რომელიცა ძევს უკანა კეფის ძვლის სიღრმეში და მოგრძეთ, რომელიც გძელის და ვიწრო ბოლოთი იყოფება პატარა ტჳნისაგან და კეფის ნახვრეტში მიდის, და იქიდგან ზურგის ხვრელში. მთელი თავის

ის არას ნიშნავს და არც არას იმაზედ ეკითხვენ.

(*) მესამე ლექციაში ნახე.

ტვინის გროვა ყოველის მხრით დაფარებულია აფსკიანი გარსებით, რომელშიაც, როგორც გული ძევს თავის პარკში, ისრე ისა. ზეითი ტვინის მხარე პრტყელი და სწორეა, იმაში ჩანან მხოლოთ პატარა ღლები, მოხრილობანი, რომელშიაც სისხლის ძარღვები თავსდებიან, ტვინის საკვებავათ,—ქვეითი მხარე კი უსწოროა, როკებსავებ, ადგილადგილ ამაღლებული, რომელთაც ყველას თავის მნიშვნელობა და მუშაობა აქვს,—მაგრამ იმათი გარჩევა და ყველა იმათი მოქმედება სასწავლებლათ ძნელი და უბრალო ხალხისათჳს უსარგებლოა.

თავის სარქველში კეფის დიდის ნახვრეტის გარდა, სადაც მოგრძე ტვინი მიდის, არის კიდევ რამდენიმე პატარა ნახვრეტები თვალის სიღრმეში, ყურისაში, ზეით ყბაში და სხ. ქვეით ტვინის მხარეს იწყობიან წვრილი პატარა ძაფები ანუ ზორნები, რომელნიც იმ ნივთისაგან არიან შედგენილნი, როგორათაც ტვინი; ეს ზორნები შეიძლება კაცმა ლეშზედ კარგათ გაშინჯოს, მაგრამ მოხარშულ ტვინში კარგათ ვერ სჩანან, ისინი იხარშებიან, ეს მგრძნობელი ძარღვები არიან ანუ ნერვები—ის გაბმულნი მავთულები, რომლებითაც ტვინამდინ ცნობანი მიდიან იმაზედ, რაც კაცის ახლო ანუ თჳთონ კაცში, ხდება. მგრძნობელი ძარღვები ტვინიდგან წყვილ წყვილათ მიდიან: ცხვირში, თვალებში, ყურებში, გულის და მუცლის ბადელის შიგანურში. ორი ნერვი, რომელიც თვალებთან მიდის, როგორც იცით, თავდება თვალის სიღრმეში და ამ ადგილს უნდა სინათლის სხივები მოხვდეს, რომ კაცმა ის საგანი დაინახოს, რომელიც იმის წინ იმყოფება;

კიდევ სმენის ნერვები თავდებიან შუა სმენის ნახვრეტში, ყნოსვის ნერვები ცხვირის სიღრმის თავში. ჩვენ ორი თვალი გვაქვს, ორი ყური, ორი ნესტო ცხვირისა, ყოველი ნერვის წყვილი ერთგვარათ არიან გამართულნი, ყველას ერთნაირი ამბავი მიზდის და თუმცა ტჳნს ორის ნერვის ძაფით აცნობებენ, მაგრამ იმას ისრე მიზდის ცნობა, რომ ვითომც ერთის ორღანიდგან გამოდისო ეს ორი ნერვის რიცხვი არამცთუ გრძნობას უშლის, არამედ პირიქით შველის და აძლიერებს. ნერვის ძაფები, რომლენიც გულსა და მუცელში მიდიან იქვე წვრილ ტოტებათ განიყოფებიან, ფილტვებში, გულში, კუჭში, ამ ძაფებით ტჳნში ამბავი მიდის კაცის შინაგანზედ და ტჳნიც გაიგებს. ფილტვები კარგათ არიან თუ ცუდათ ანუ ჭაერი საკმაოთ აქვთ, კუჭი ცარიელია თუ არა; დრო არის ჭამისა და სმისა თუ არა და სხ. ამ ნერვის ძაფებიდგან მიდის ტჳნში ამბავი, რა მოქმედებს კაცის გვამში ანუ იმის ახლო; მაგრამ ეს ამბები ნერვებით ტჳნში როგორ მიდის, არავის შეუძლიან, რომ გაიგოს. ეს ღონისძიება ტელეგრაფის მავთულებით, რომ ჩქარა აცნობებენ ჩვენს სიტყვებსა იმასა გავს, ამ მავთულებით ერთის მინუტში შეიძლება რამდენსამე ას ვერსტს წინათ აცნობონ. არის ისეთი ძალა, რომელიცა რეკს ამბავს ერთის მავთულის ბოლოდგან მეორეში, მაგრამ ამ ძალის გაგება არ შეგვიძლიან ისრე როგორც ანდამატისა და არ ვიცით რა ძალა სწევს თავისთან რკინასა. ანდამატის ნაჭერსა ვხედამთ, შეგვიძლიან გავშინჯოთ, იმას თჳსებას ვიცით, მაგრამ იმ ძალას, რომელიც იმაში იმ-

ყოფებს, ნახვა სრულებით არ შეგვიძლიან. ჩუჱნ შეგვიძლიან ტელეგრაფი გავმართოთ, ვიცით როგორ გავაკეთოთ ისრე, რომ ტელეგრაფმა იმოქმედოს, მაგრამ იმის ძალას ვერ გავიგებთ, როგორც უნდა. მგრძნობელი ძარღვს ძალაც ასრეთია, რომლითაც ტვინს ცნობას უჰადავს ჩუჱნ შეგვიძლიან თჳთონ ნერვები გავშინჯოთ, იმათი შედგენილობა ვიცით—მაგრამ იმას ვერ ვიგებთ.

მოქმედება, მუშაობა თავის ტვინისა იმაზეა დამოკიდებული, რომ ნერვებიდამ ამბებს იტყობს და ამ გასაკუთრებულ ამბებით შეადგინოს მთელი მცნობელობა, ამათზედ რაც კაცის გვამშა და გარეთ ხდება. ტვინში გამართულია მთელი ქარხანა, რომელშიაც არც საჭმლის წვენი გამოდის, როგორათაც ძარღვებში, მხოლოდ კაცის ჭაზრები, ფიქრები, ცნობები და გრძნობანი. მაგრამ ეს როგორ წარმოსდგება, კიდევ არ ვიცით, მხოლოდ ის ვიცით, რომ ჭკუა სწორედ ტვინშია და რამდენიც ტვინი ცხოველს ცოტა აქჳს, იმდენი უგუნურია და კაცს ტვინი რომ წაუხდეს, მესხიერებას და ჭკუას დაჰკარგავს, თავის ნაცნობებს ველარ იცნობს, სხვა კაცის ლაპარაკი არ ესმის, მხეცზედ უფრო გაუგუნურდება, რომელსაც თუმცა ტვინი პატარა აქჳს, მაგრამ სიმრთელიანია და კარგათ მოჰქმედებს. გიჟები, სულელები, ბრიყვები, რომელთაც არაფერი გაგება არა აქვთ, ვერაფერს ვერ ისწავლიან,—ეს ხალხი ტვინით ავათ არიან, იმათ ან დედის მუცელშივე და ან შობის დროს ისეთი სნეულება დამართვიათ, რომელსაც ტვინი წაუხდენია ე. ი. ჭკუა და მეხსიერება.

ტჳნი, რაც უნდა მრთელათ და კარგათ იყოს თჳთონ ვერას გააკეთებს, ჭკუას ვერ დაბადავს, თუ გარეგანი გრძნობანი თვალები, ყურები და სხ. საგნებზე არას აცნობებენ. ასა ბავშვი უქჳეყნოთსუხმოთ, კაცებს მოაშორეთ და ერთს ადგილას ჰყავდეთ დაკეტილი, ნურაფერს ნუ ასწავლით,—ის თავის სიცოცხლეში სულელი იქნება, მაშასადამე, გარეგან გრძნობის სიმრთელეზედ, ნერვებზედ; დამოკიდებულია ტჳნის სიმრთელე და იმის მოქმედება. იმ ნერვების სიწამხდრე, რომელნიც გარეგან გრძნობათაგან მიდიან, ან ცნობაების დაბრკოლება თჳთონ ორღანებში, უეჭველად ტჳნს აუწყებენ, რომელიც უნერვებოთ და უორღანებოთ ვერაფერი ვერ შეუძლიან გააკეთოს. ახლა სხჳა მხრივა ვსთქჳათ: სნეულს წამხდარს ტჳნს, რაც უნდა კარგი და მთელი ორღანები ჰქონდეს, მაინც ვერა ამბავს იქიდგან ვერ გაიგებს. გიჟ კაცს, რომელსაც ყველა ორღანი მრთელათ აქჳს, თავის ნებაზედ ცხოვრობს, ხალხში ისრე სულელია, როგორათაც მსგავსი იმისა, რომელიც ემაწჳლობითვე ხალხს და ქჳეყანას მოუშორებიათ.

---

თავის ტჳნის მუშაობანი, ე. ი. ჭკჳანური სწავლანი თავის სიმრთელისათჳს ითხოვენ რამდენსამე გიგიენურ დარიგებათა. ეხლავე მოგელაპარაკებით.

ტჳნმა, რომ კარგათ იფიქროს, მართლათ განსაჯოს, უნდა გამაძღარი იყოს, მართლად გამაძღარი,—ე. ი. რომ იმის საკვებავათ ყოველთჳს გულიდგან წმინდა სის-

ლი სისხლი მიიღოს; როგორც ყველა ჩუჱნ ტანის ნაწილს უნდა სისხლი, ისრე ტჳნსა,—უიმისოთ არც მუშაობა შეუძლიან და არც სიცოცხლე. კაცი რომ რაზედმე დაფიქრდეს, მაშინ თავს ჩაღუნამს, რომ სისხლი მაწრაფად და ღონივრად ტჳნთან მოიჭრას. სისხლის ნაკლულევანების გამო, ცუდის საჭმელისა, მთელის ტანის სუსტობისა,—ჭკუით კარგა ვერა სწავლობს, ტჳნი ცუდათ მუშაობს; სისხლი ტჳნში უგარის ღაზით რომ მოდის, არაყიან სასმელებით, მაშინ კაცი გაუგულისხმოგვდება, გონებას დაჰკარგავს, ამიტომ რომ ტჳნს უწმინდური, მოწამლული სისხლი მისდის.

ტჳნს წმინდა სისხლი უნდა, მაგრამ მომეტებული ავარდნა ძალიან აწყენს, მომეტებული სისხლი ძარღვებს ღონივრად აწვება, აგრეთვე ტჳნსა აშჭიდროებს, ე. ი. უშლის, რომ თავისუფლად იმოქმედოს, ამისგამო ძლიერ თავის ტკივილის გარდა კაცს გული შემოეყრება, ცნობა მიეხდება, დროებით გულის ხმა დაეკარგება იქნამდის, სანამ სისხლს არ გამოუშვებენ, წურბელებით კოტოშებით, სამდოგვებით, რომელნიც ტჳნიდგან დააბბრუნებენ სისხლსა და განში გამოიყვანენ. ხანდიხან სისხლის მიწოლა ტჳნში ისეთ ძლიერათ მოხდება ხოლმე.

(*) თქუჱნ კიდეც იცით, რომ ტჳნის საკვებავათ, როგოყათაც მთელი ტანისა, სისხლი უნდა ძარღვების გარსებიდგან სწვეთდეს, და არ გამოიქცეს იქიდგან. სისხლის გამოქცევა ძარღჳს გასკდომისაგან მოხდება და ეს კაი საქმე ვერ არის.

რომ სისხლის ძარღვები ვერ დაიმაგრებენ, დასკდებიან, და სისხლი ტვინში დაიქცევა, ამ ტვინის დაცემას, მსუბუქ დამბლას ანუ დამბლის სენს ეძახიან. (*) ტვინის დაცემა არის სნეულება ჩქარი და ძლიან საშიში; იმისაგან კაცი ხშირათ უცებ მოკვდება, ან თუნდ კიდეც ცოცხალი დარჩა სისხლის მიყოლით ტვინში მესხიერებას დაკარგავს, ან სწორე ლაპარაკის ნიჭსა, სიარულისას, ერთის სიტყვით დამბლა დაემართება, რომელზედაც შემდგომ ლექციაში მოვიხსენებთ. ტვინის დაცემის დროს მსწრაფად ექიმის წამლობა უნდა, ხშირი თავში სისხლის ავარდნანი, ძლიერი თავის ტკივილები ხშირათ სიბრმავით ანუ დაყრუებით თავდებიან, ამიტომ რომ სისხლი აწვება ცქერის და სმენის ნერვებსა, ესენიც მოქმედებას დაჰკარგვენ და ძლიერის მიწოლით იხოცებიან.

თავში სისხლის ავარდნა იმათ ემართებათ, რომელთაც სისხლი ჭარბათ აქჳთ, ან კიდევ მოკლე კისერი, ღონიერი კუთები; ესენი უნდა ტვინის დაცემას უფრთხილდნენ, სისხლის ავარდნა მოხდება კიდევ იმისაგან, რომ უზომოთ ხმარობენ არაყსა, ღვინოსა, კიდევ მზის და სხვის სიცხისაგან, ძლიერის მოძრაობისაგან, — სირბილისაგან, ტანცაობისაგან და ბოლოს უზომო გონებით სწავლისაგან.

გონებითი სწავლანი, კითხვა, ძრიელ მძიმე საქმეა და ყველა კაცისათვის საჭირო, მაგრამ სიმრთელეს ისიც აწყენს, თუ უდროვოთ კაცმა ისწავლა და არც იმას დაწესება იცის, ამ საქმეზედ მშობლები უნდა ცდილობდნენ თავის პატარებზედ. აი იმათი ცდა რა უნდა იყვეს. მა-

ლიან ადრე თავიანთ შვილებს სწავლას არ უნდა დააწყები-ნონ ე. ი. ექვსისას და შვიდის წლისას. (*) ყველაზე კაი დრო არის მაშინ, როდესაც უმაწვილი რვა ანუ ცხრა წლისა შეიქნება, მაგრამ აქაც უნდა ყური უგდონ, რომ უმაწვილი გამაგრდეს, ჯანღონიერდეს და სრულებით მრთელი იყვეს. ვისაც უმაწვილს სუსტი სხეული აქვს, გონებით სწავლას აწყენს, რომლის გამო უფრო სუსტდება და მთელ თავის სიცოცხლეში სუსტათ და სნეულათ რჩება, როგორც უმაწვილის გონება ნელ-ნელა იხსნება, ამისათჳს პირველ დღეებში უმაწვილი იმ საგნებით უნდა შეაქციონ, რომელ-საც ადვილათ მიხვდება, და რომელზედაც ძრიელ არ და-ფიქრდება,—აქ ეკუთვნიან: ახსნა იმ ნივთებისა, რომელ-ხიც ყოველთჳს უმაწვილის ახლო იმყოფებიან მაგ. რა არის სტოლი, დანა, კოვზი, წალები და სხ. ახსნა იმ მხატვრობისა, რომელნიც ბუნების მეცნიერებათ მიეწე[illegible]უ-ბათ, მაგ. ხეებისა, მფრინველებისა, მხეცებისა და სხ. კაცების ისტორიის მბობა, ესეც მხატვრობით უნდა აუ-ხსნან, რომელსაცა კარგათ მიხვდებიან. წიგნი მაშინ უნ-და დააწყებინონ, როცა უმაწვილი სიტყვა მბობას კარგათ დაეჩვევა და წიგნებიც პირველში ისრეთი გასაგონარის, უბრალო და ადვილის ენით დაწერილი უნდა მისცეთ, რომ

(*) ჩვენში საქებურათა აქვთ; ვისაც ექვსის ანუ შვი-დის წლის უმაწვილს კითხვას დაუნახვენ და ამას გარდა კი-დევ კვეხულობენ ერთმანერთში: თქვენმა მზემ ხუთის წლისას მოვაყოლე კითხვასო და საკვირველი გონება აქვსო

ვ. მ.

რაც წაიკითხოს ყველას მიხვდეს. ამ შემთხვევაში ხშირათ უბრალო ხალხი კარგათ ვერ იქცევა, მაშინვე საეკლესიო წიგნებს დააწყებინებენ კითხვასა, რომელშიაც ხნიან კაცებსაც არ ესმის. ერთობ სწავლაში უნდა ეცადნენ, რომ გონება უმაწვილს აეხსნას და ერთათ სხეულთან გაუმაგრდეს. და რომ წიგნს ასწავლიდნენ, უნდა მოძრაობით სხეულიც გაუმაგრონ, ღიმნასტიკით, ხელით მუშაობით, რომელზედაც დიდი ფიქრი არ უნდა.

განგრძელებული გონებითი სწავლა დაუსვენებლივ, როგორც უმაწვილებისათვის მავნებელია ისრე ხმიანებისათვის, მაგრამ ღამე ძალიან მავნებელია. ხშირათ შაგირდები დააკლდებიან რამდენსამე უროკებს და მერმე უნდათ, რომ თავის ტოლებს მოეწივნენ, ამისათვის ღამე სხედან წიგნზედ და იზეპირებენ და ამით თავის სიმრთელესა იმლიან და დროსაც ვერ ისრულებენ, ამიტომ რომ ორ სამ ღამეს როგორც იქნება გასძლებენ, მაგრამ მეოთხე ღამეს ველარ შესძლებენ და დღეც ველარ ისწავლიან. ძალიან მავნებელია პურის ჭამის შემდეგ მაშინვე სწავლა ანუ კითხვა. ამ დროს კუჭი მუშაობს საჭმელზედ, იმას სისხლი ბევრი უნდა, ჩვენ რომ ვკითხულობთ ტვინიდგან სისხლს ვიღებთ, კუჭს ძალას ვუკარგავთ, და საჭმლის მონელებას უშლის, რომელიც კარგათ ვერ შეგვერგება სწავლისათვის ყველაზე კაი დროა დილა, როდესაც ტვინი შეისვენებს, ღონე გაუმაგრდება ძილში და კაცი ყოველ საქმეზედ მტკიცეთ და მხნეთ არის.

ტჳნთან ყოველთჳს მიდის ამბები გარეგან გრძნობა-თაგან და შიგანჳურის ნერვებისაგან. ამ ცნობებს რომ ღებულობს, ტჳნი იმათზედ მუშაობს, არდგენს ცნებას და სწავლულობას ნივთებზედ. ყოველთჳს მუშაობას რომ ეჩვევა, კაცის ჭკუა ხშირათ თჳთონვე, უშუმწეოთ გარე-განი გრძნობებისა, იხზავს სხჳა და სხჳა საგნების მდ-გომარეობასა, თავის ჭაზრით მიდის ღრმა ფიქრში, წარსულ საქმეებს იგონებს, ვითომც თავის წინ ხედავს სხჳა პირთა, ნივთთა და არა იმათ, რომელნიც მართლად იმის წინ იმყოფებიან ეს ხშირათ დაგვემართება ხოლმე მაშინ, როდესაც დავფიქრდებით ღრმა ფიქრით და არას ვნიშნავთ, რაც ჩუჱნ წინ ხდება თუ კარგათა კარით, მაშინ ეს ფიქრები, განზრახვები სხჳა საგნებზედ თითო-ონვე დადგებიან, როგორც რომ აქეთ მივიხედ მოვიხე-დამთ, ყურს დაუგდებთ; ხელით გავშინჯამთ, ერთის სი-ტყჳთ დავიწყებთ მუშაობასა, როგორათაც ჩვეულებრივ გარეგანის ორღანებით. ამ ორღანებით მუშაობას რომ დავიწყობთ, ჩუჱნ კარგათ გავიგებთ, რაზედაც დავფიქრ-დით, რომ ისინი სულ უბრალო ჭაზრები იყვნენ, თით-თონ ჭკვით მოგონილნი პირნი, ნივთნი, ადგილები, და რომ იმ მინუტში ჩუჱნ წინ ისინი სრულებით არ იყვნენ. მაშასადამე სჩანს რომ გარეგანი გრძნობებით ჩუჱნ თჳ-თონ ვამოწმებთ და იმათი შველით შეგვიძლიან ფიქრები იმათგან გავარჩიოთ, რაც ჩუჱნ წინ იმყოფება. მაგრამ თუ კაცი ავათ არის, თუ გარეგანი გრძნობის ორღანები კარგათ ვერ მუშაობენ,—მაშინ ჭკუა იგონებს ვინიცის რასა, არ შეუძლიან თავათ შეამოწმოს და ჰგონია, რომ

იმის მოგონილნი პირნი, ნივთები, ადგილები სწორეთ იმის წინ იმყოფებიან. აი რით ახსნიან ხოლმე როტვასა და სხვა და სხვა მოგონილ წარმოდგენებსა. ციებ-ცხელებით ტვინი, ანთებით და სხჳა მძიმე სნეულებით ავათ მყოფ-ისას, სხჳა და სხჳა გაუგონებელი სიზმრები, ხმები, რომელიც ქვეყანაზედ არ არის, შიშები საოცარი სანახავები. სულ მოგონილნი არიან სნეულ ტვინისგან, სწორეთ ჭკვის მოტყუებაა, ისეთი მოხერხებული მოტყუებაა, რომ თუ კაცს გარეგანი გრძნობის ორგანები სიმრთელიანი არა აქჳს სრულებით სჯერა. ამ გაუგონებელ ჭკვის წარმოდგენებს ჰგვანან ჩვეულნი სიზმრები, ან მძინარე კაცის ფიქრები. მაგრამ იმათ ახსნის წინათ ძილზედ მოგახსენებთ.

ძილი მარგებელი და ძალიან საჭირო კაცის დასასვენებლათ. კაცი, რომ მთელი დღე ყოველის სხეულის ნაწილით მუშაობს, მთელის ორგანებით, ტანი ძალიან ეღალება, კუთები უსუსტდებიან, გრძნობათ გონება მიეხდებათ,—და ამე თჳთონ კაცმა იცის, რომ ტანს მოსვენება უნდა, თორემ ის დაუდგრომელ მუშაობას ვერ აიტანს, და როგორც მაშინა ისრე მოილევა, გატყდება და სიცოცხლეც მოაკლდება. კაცს რომ ეს უბედურება არ დაემართოს, ბუნებამ ძილი დაუნიშნა. ძილის დროს თვალები დახუჭულნი არიან, ყურებს არ ესმით, სხეულთ მოძრაობა არა აქჳთ,—მხოლოდ შიგნეულნი, მაგრამ ისინიც სუსტათ და ზანტათ აკეთებენ თავის საქმესა: გული ნელა სცემს, ფილტვები სუნთქვენ, სისხლი ჩვეულებრივ ერთის ძარღვიდგან მეორეში სცურავს, თუ კუ-

ჭმა საჭმელისა იყოფება, შარდი თირკმლებიდგან იყოფება და შარდის ბუშტში მიდის, ტვინი კი თითონვე ფიქრებს და აზრებს იგონებს, რომელსაც ჩვენ სიზმარს ვეძახით.

ძილს დამშვიდება უნდა. კარგათ კაცმა რომ გამოიძინოს, უნდა მოშორდეს ხალხსა, დაწვეს ბნელს ალაგს, რომ სინათლემ და ხმაურობამ ტვინამდინ არ მიაღწიოს. ძილის დროს თავის დღეში კაცს არ უნდა დაუშალონ; ის ძალიან საჭიროა ყოველი კაცისათვის, საკუთრივ უფრო ავათმყოფებისათვის, ძილით რჩებიან ბევრნი მძიმე ავათმყოფები და ექიმები სულ იმას ცდილობენ, რომ თავის ავათმყოფებს კარგი და მშვიდობიანი ძილი მოჰგვარონ. უძილობა კარგათ მყოფ კაცსაც აუძლურებს, და აბა ავათმყოფს რას უზამს, ის ართმევს უკანასკნელ ღონესა.

ძილის დრო ღამეა,—და მომეტებული ნაწილი ღამისა უნდა კაცს ეძინოს. ყველაზე უკეთესი იქნება, რომ ათ საათზედ ადგეს, კარგათ მყოფ კაცს შვიდი რვა საათი ეყოფა ძილათა, გულ სუსტიანებს, გამხდრებს, სნეულებს უფრო ამაზედ მომეტებული; ქალებს შეუძლიანთ კაცებზედ მომეტებული ძილი, ყმაწვილებს შეუძლიანთ თორმეტ საათიდგან თხუთმეტ საათამდინ ეძინოთ. შუადღის უკან ძილი გულსუსტიანებისათვის მარგებელია, მაგრამ ვისაც სისხლი ჭარბათ აქვს და მსუქანია უნდა ერიდოს. სხვაფრივ შუა დღის უკან ძილს, თუ კაცი დაჩვეულა,— არ აწყენს.

თუ კაცი კარგათ არის და იმის ორღანებს დღე კარ-

გათ უმუშავეიათ ძილი თჳთონვე თავის დროზედ მოს-
დის. ძალათ ძილის მოყვანა არ ვარგა, როგორც ჩადიან
ხოლმე ჩჳჩნი ძიძები, რომლესაც აკვანში ყმაწჳლს არწე-
ვენ. დარწევის დროს სისხლი ბავშს ტჳნში ესხმის, ყმა-
წჳლსაც. როგორც გამოშტერებულს,დასუსტებულს დაე-
მინება ძალათი, ისრე კი არა როგორც სიმრთელიან
ბავშვსა შეშვენის. აკვანში ბავშვების რწევა ძალიან უგუ-
ნური და მავნებელი ჩვეულებაა, მაგრამ ჩჳჩნი ბებიები
ხშირად და დიდხანს არწევენ, ამისათჳს რომ, არ ესმით,
რომ სიმრთელიანი ბავშვი უეჭველად თავისთავად დაიძი-
ნებს და არ იქნება რომ არ დაიძინოს, თუმცა ძილის
წინათ ცოტათი დაიწყებს ჭყივილსა და თუ უნდათ ბა-
ვშვი დააძინონ, დაწევას ის ეჯობინება, რომ ერთის
ხმით ნელა ნანინა უთხრან, ან აკვნის თავზედ ერთის კი-
ლოთი და ხმით იდუდუნონ. ეს მავნებელნი არ არის და
ძილსაც ბავშვს ისრე ჩქარა მოგვრის, როგორც ხნიანს
კაცებს, მდინარის ჩქრიალი, წვიმა, რომელიც წვეთ წვე-
თით სახლის ერდოზედ ეცემა და აგრეთვე წისქვილის ქჳს
ხრიალზედ.

არის რამდენიმე წამალი, რომელიც აძინებს კაცს,—
მაგრამ იმათი განწესება ექიმის საქმეა; მხოლოდ ერთ
დასაძინებელ წამალზედ მოგახსენებთ, რომლისაც ზარ-
მაცი ბებიები ასმევენ ბავშვებს, რომ დააჩუმონ და და-
აძინონ. ეს ნივთი ხაშხაშის თავებია. იმას წყალში ანუ
რძეში ხარშვენ, ნახარშს ატკბობენ და ასმევენ ყინიან
ბავშვებს, რომელთაც აძინებს. ეს ნახარში ძალიან მაწყი-
ნარია; ამისათჳს რომ ხაშხაშ ბავშვებზედ ისეთ მოქმე-

დება აქვს, როგორათაც სპირტსა, ე. ი. სისხლის ავარდნას უჩენს ტვინში, არეტიანებს ბავშვსა და გონებას უფუჭებს.

ეხლა სიზმრებზედ მოვილაპარაკოთ.

როგორც ცხადი ფიქრები, ისრე სიზმრებიც ჩჳენი ჭკვის საქმეა, ისინი ტვინში სხჳა მხრიდგან არ გროვდებიან, კაცი სხვა ვისგანმე იღებს, ეს ისრე უბრალოთ მოაგონდებიან, ტვინი თხზავს, რომელსაც როგორც მძინარე კაცში თავის თავს ვერ შეამოწმებს, ისრე ავათ მყოფში, ამიტომ როგორც იქა ისრე აქ გარეგანი გრძნობის ორღანები არ მოქმედობენ. მძინარე კაცს მოუვა ფიქრში სხჳა და სხჳა პირნი, ნივთნი, ადგილები და იმას ჰგონია ჩჳეულებრივ, რომ თავის წინა ხედავს, ამიტომ. რომ თვალების გახელა და დარწმუნება არ შეუძლიან, რომ მართლად შეიტყოს ეს ნივთები და პირნი იმასთან დგანან თუ არა. აქ კაცი ტყუვდება და ეს ტყუვილი იქნამდის გასწევს, მინამ კაცი არ გამოიძინებს, მინამ თვალები, ყურები, ხელები და სხჳა ორღანები როგორც უნდა ისრე არ იმოქმედებენ. ხშირათ სიზმრები მოეჩვენებათ მძინარეთა, რომელსამე მსწრაფელ მოქმედებისაგამო. ყურების მხრივ, კანისა და სხვა ორღანებისა. მაგ. კაცმა დაიძინა; ამ დროს ფანჯარას ასცდა ფოშტის ტროიკამ ზარის რეკით, რომ გაირბინოს მაშინვე ზარის ხმა მოხვდება მძინარეს ყურებში და ტვინამდის შევა. ტროიკა შორს არის, ზარის რეკა აღარ ისმის, მაგრამ ტვინს ხმა მოხვდა და თითონაც არ გაეგება, საიდგან მოისმა, და იწყებს იმაზედ ფიქრსა, მუშაობასა, და აი

მძინარე კაცს მოაგონდა ძველი დრო, მშობლების სახლი სახლი, ის ტროიკა, რომლითაც თავის სამშობლოს მოშორდა, ის ზარი, რომელიც ეკიდა იმ ტროიკასა და რეკდა და სხ. ამ რიგათ რამდენი აზრები მოაგონდება ერთის ზარის რეკის ხმით. ანუ კაცი ლოგინში წევს და სთვლემს, ამ დროს იმის ტახტის ქვეშ თაგვი რაღაცასა ხრავს და კბილებს აკრაჭუნებს უფრო და უფრო. კაცს ამ ხმის ყურის გდებით დაეძინება; ამ დროს ნახავს სიზმარში, რომ უცებ თავში სისხლი აუვარდა, რომელიც ტვინს დაუწყო წოლა, აქ კაცს ძილში ჰგონია, რომ თაგვი კისერზედ აცოცდა, თავის ფეხებით უჭერს თავსა, ის იმ დროს დარწმუნებულია, რომ თაგვსა ხედავს, ცდილობს იმის გადაგდებასა და როცა გამოეღვიძება, ნახავს რომ არაფერი არა არისრა, თაგვიც. აღარა ხრამს. ანუ: მძინარეს გადახდია საბანი; მაშინ ნერვები ტვინს აცნობებენ, რომ კანსა სცივაო, მაგრამ რათა სცივა, მძინარე ვერას იგებს,—და ტვინიც დაიწყობს სხვა და სხჳა ცივზ ნივთებზედ ფიქრსა,—და მაშინ კაცს ესიზმრება, რომ თითქო წყალში ჩავარდნილა, სცურავს დიდ წყალში, დახრჩობისა და სულის შეგუბებისა ეშინიან, ეს საქმეკი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ საბანი ძირს გადავარდნია და ტანი გადახდილი დარჩენილა. ამ გვარი მაგალითი ბევრია, მაგრამ ესეც საკმაოა; აქედგან თქუენ ცხადათ გესმით, რომ რა არის მიზეზი დიდის და სხჳა და სხჳა სიზმრების ნახვისა.

სიზმარზედ კითხვა, და იმით მომავალის გამოცნობა სრულებით სიცრუეა, სიზმრები ტვინის უგუნური საქმეა

იმ დროს ჭკუით მოგონილი, როდესაც კაცსა სძინამს, მამასადამე ვერც სწორეთა ფიქრობს და ვერც მოქმედებს.

## ლექცია XX.

ზურგის ტვინი, მგრძნობელნი და მოძრავნი ძარღვე-ბი. დასრულება.

ზურგის ძვალი (ხერხემალის ზოძი) ერთდება მთელის გარიგებულის გაცალკავებულის პატარა ძვლებისაგან, რო-მელსაც ხერხემლებს ეძახიან. ხერხემლები კეფის ნახვრე-ტიდგან დაწყობილი კუკუზნამდინ ერთი მეორეზედ აწ-ყვიან, და კუკუზნის ძვალიც და მენჯიც შედგენილნი არიან ხერხემლებისაგან, მაგრამ ამ ძვლებში ხერხემლებში შე-ხორცებულნი არიან და ერთი მეორესაგან კაგნატელით არ იყოფიან (*) ხერხემლები ბეჭედსა გვანან და ერთი მეორეზედ რომ აწყვან, იმათ შუა გულში ზეიდგან ქვემო-თამდე ვიწრო სიღრმე ანუ მილი ჩნდება, რომელსაც ზუ-რგის ხვრელს ეძახიან. ამ ხვრელში მოთავსებულა ზურ-გის ტვინი. ზურგის ტვინი არის გძელი. მრგვალი ტვინის ანუ ნერვის გროვა, იმავე შედგენილობით, როგორც თავის ტვინი და იმ გვარ გაარსებში არის გახვეული, როგორათაც თავის ტვინი.

ზურგის ძვალი: 1) განაგებს ყველა კუთების მოძრა-ობასა, რომელნიც ტანზედ და კიდურებზედ იმყოფებიან

(*) მეოთხე ლექციაში ნახე.

ე. ი. გულზედ, ზურგზედ, მუცელზედ, ხელებზედ; 2) შეხების ორღანებისაგან მიზდის ცნობაები და იქიდგან თავის ტჳნს იმას აცნობებს, რომ ჩუენ ხელს ვახებთ ყველას, რაც ჩუენს განს მოხუდება. ამ ორის მუშაობის ასასრულებლად ზურგის ძვალი გზავნის თავისაგან ყოვ-ველ სხეულის ადგილებში ნერვის ძაფებს, რომელთაგა-ნაც ზოგი ხერხემლის ზოძიდგან, რომ გამოდიან, კუნთე-ბში თავდებიან, ზოგი შორს გარეთ პირთან მიდიან და განში იმ ადგილას თავდებიან, სადაც ოფლის და ქონის ჯირკვლებია. იმ ნერვებს, რომელნიც კუნთებში მიდიან ჰქჳანთ მომძრავნი ნერვები, და რომელნიც განქუეშ მია-დიან—გრძნობის ნერვები. გრძნობის ნერვები აცნობე-ბენ ტკივილსა და შეხების გრძნობასა, როგორც სმენის ნერვები აცნობებენ სმენის გრძნობასა და მხედველობი-სანი—აცნობებენ გრძნობასა. (*) საკუთრივ შეხების ნერვის ტოტები ბევრია ხელის თითების წვერებ ქუეშ და ამისათჳს ხელის თითების შეხების ორღანები ჰქჳიანთ, თუმცა მთელის განათ შევგვიძლიან საგნის შეხება და ი-მის თჳსების შეტყობა, ცივ ნივთისა, ცხელისა, მაგარისა, სწორესა ანუ ხორკლიანისა, როგორიც უნდა განის ადგი-

(*) გემოვნობის ნერვებზედ მე თქუენთჳს არ მამია-ხსენებია ისინი თავის ტჳნიდგან ენასთან მიდიან, და თავდებიან ბევრის ტოტებით იმის დუიის გარსის ქუეშ, როგორც შეხების ნერვები განქუეშ. იმით შემწეობით ტჳნი გემოსა სცნობს იმ ნივთებისას, რომელნიც ენას ხვდებიან. ენა გემოვნობის ორღანია.

ლი მოხვდეს მაინც შევატყობთ მაგრამ თითებით უფრო სწორეთ და კარგათ გავიგებთ. მოძრავნი ნერვები, რომელნიც კუთებში ტოტებათ იყოფებიან, კუთებს ხან აგანიერებენ და ხან ავიწროვებენ, რომლისგამო, როგორც იცით, მოძრაობა წარმოსდგება: კაცის ნებით ძვლები ყურთი მეორესთან იწევიან, სახსრებში ბრუნვენ, იკავებიან და იშლებიან, როგორც თავის ტჳნში და იმის ნერვებში, ისრე ზურგისაში და იმის ნერვები, რომელნიც იქიდგან გამოდიან, არის ნერვის ძალა, და როგორც თავის ტჳნში არ გვესმის ეს ძალა ისრე აქა. მხოლოდ ის ვიცით, რომ რაზედაც ნივთს ხელს მოვკიდებთ, იმის ამბავი ნერვით ზურგის ტჳნამდის მიდის, და თუ ამ ნივთის გამო მოძრაობა უნდა ვაკეთოთ,—მაშინ ზურგის ძვალი ნერვების გამო, რომელნიც კუთებში მიდიან, უბძანებს რომ კუთმა იმოძრაოს და ესეც მაშინვე დაიწყებს მოძრაობასა და ამ ნერვების ძალით შემცირდება. ამას მაგალითათ აგიხსნით: ვსთქჳათ ბუზი ზურგზედ შემაჯდა და მკბენს, მე შემიძლიან ბუზი არ დავინახო, მაგრამ მგრძნობელნი ნერვები, რომელნიც ზურგის კანქჳეშ იმყოფებიან, მსწრაფლად ამაზედ ზურგის ძვალს შეატყობინებენ და იქიდგანაც მსწრაფლად მოძრავის ნერვებით მოდის ძალა, რომელიც ჩემ ხელს დაუწყებს ნძრევასა, რომ ბუზი ზურგიდგან ააფრინოს, ამავე სიჩქარით და რიგით მიდის ამბები ყველაზედ, რასაც ხელს მოვკიდებთ ანუ სხჳა რომელიმე კანის ნაწილით და ზურგის ძვალიც ყოველთჳს თუ საჭიროა, ამ ამბის უკან კუთებს ამოძრავებს. აქ თავის-ტჳნის ბძანება არ უნდ

ყველამ იცის, რომ როდესაც ჩუენ დავდივართ, ვიფხანთ, ვამთქნარებთ, მოვტრიალდებით ხოლმე, ერთის სიტყვით როდესაც ვანძრევთ, ხელებსა, ფეხებსა და ტანსა, მაშინ სრულებით ფიქრათაც არ მოგვდის იმაზედ, თუ ეს მოძრაობანი როგორ ვიხმართ, თავის ტვინი ამაზედ არ მუშაობს, რომელსაც თუ მოინდომა ამაზედ დაფიქრდება, და თუნდ არ დაფიქრდეს, იმასაც არა უჭირსრა,—ზურგის ძვალი უიმისოთაც განაგებს, როგორც ყოველთვის, ისრე იმ დროს.

ნერვების ძაფები ზურგის ტვინიდგან წყვილ წყვილათ გამოდიან. თორმეტი ზეითი წყვილი მიდიან კისრის ხერხემლებიდგან კუთებთან და კისრის კანთან, კეფისა, ყურებისა, ეგრეთვე იღლიებ ქვეშ, საიდგანაც დიდი ტოტები მთელ ხელებში ეშვებიან, ხელის თითების ბოლომდინ. მაშასადამე ამ ნერვებზედ დამოკიდებულია მოძრაობა და შეხება კისრისა, ყურებისა, კეფისა და ზეით კიდურებისა (*) შემდგომი თორმეტი წყვილი ზურგის ხერხემლებიდგან გამოდიან და ქამარსავეთ ერტყმის მთელ გულსა, იყოფება ტოტებსავეთ ზურგის და წიბოებას კუთების შუა, აგრეთვე გულის და ზურგის კანში. ისინი,

(*) ხანდისხან იდაყვს რომ მოვარტყამთ რასმე მაგარნივთსა, მაშინ ვგრძნობთ ერთ გვარ ტკივილსა, რომლის დროსაც ხელი გაშეშდება, და თითქო ჭიანჭველები ცოცავენო იმ ხელზედაო, ეს ნიშნავს, რომ ჩუენ ვიტკინეთ დიდი ნერვის მილი, რომელიც იღლიიდგან წინა მხარში მიდის.

როდესაც ჩუჱნა ვსუნთქამთ; ე. ი. გულის ფიცარს ვაგანიერებთ, მაშინ ისინი უგდებენ ყურსა ხორცის კონების მოძრაობასა, რომელნიც წიბოებ შუა არიან. წელის, კუკუხუნის და მენჯის ტჳნიდგან გამოდის რამდენიმე ნერვის წყვილი, რომელიც მუცელში ტოტებივით იყოფებიან, აგრეთვე წელში, მენჯში, უკანა განსავლის ახლო და რამდენსამე დიდ ტოტებს გზავნიან ქვეით კიდურებში, კიდურებში და თეძოს ბეყვის და ქუსლის კანში.

მგრძნობელნი ნერვები ტკივილის და შეხების გრძნობას აცნობებენ: და თუ ამ ნერვებთაგანი ერთი სადმე თავის სიგმეზე კანიდგან ზურგში წახდა, ან დაიწეწა ანუ გაწყდა, მაშინ ტკივილის ანუ შეხების გრძნობა იმით ტჳნამდინ ველარ მივა; მაშინ ნიშნავს, ის კანის ადგილი, სადაც წამხდარი ნერვი თავდება, გრძნობა დაუკარგავს, ასე რომ თუნდ ამ ადგილს კაცმა დაუწყოს ჭრა ჩხვლეტა, წვა, მაინც კაცი ვერას შეიტყობს ეს მართლა ესრეა, თუ ნერვი გასჭრეს და იმის ქვეითა ნაწილს, რითაც უნდათ შეახეს, მაინც ტჳნი ვერას გაიგებს: ამისათჳს, რომ ტჳნთან ნერვს შეერთება არა აქუს და გრძნობაც დაკარგულია. ნერვიკი არ გრძნობს, ტჳნი გრძნობს, მხოლოდ ნერვი ამბავს აცნობებს ხოლმე. ამიტომ ამ გვარი უგრძნობელობა კანში მოხდება, თუ რომ ნერვი, რომელიც კანში მიდის კი მთელათ არის, მაგრამ, სადაც ეს ნერვი ტჳნიდგან იწყობა, ის ტჳნი წახდენილია ანუ ნატკენი. მართლათაც, ყოველი ზურგის ტჳნის სიწამხდარე ართმევს კაცს გრძნობასა, სადაც ნერვები მიდიან წამხდარ ტჳნისაგან, ამ სნეულებას გრძნობის დამბლა ჰქჳან და იმაზეა და-

მოკიდებული, რომ ან თჳთონ ზურგის ძვალი, საიდგა-
ნაც მგრძნობელნი ძარღვები გამოდიან, წამხდარია, ტკი-
ვილის და შეხების ამბავი ვერ ესმის, და ან ნერვები,
რომელნიც იმ ტჳნიდგან გამოდიან წამხდარნი არიან და
ამბავს ვერ ატყობინებენ ეს ავათმყოფობა. მოხდება
ძლიერის ხშირის სისხლის ავარდნისაგან ზურგის ტჳნში
და სისხლის დაქცევისაგან (სისხლიანი დაცემა ზურგის
ტჳნისა); ეს ხშირად მოხდება ხოლმე გაციებისაგან და
ზურგის ძვლის ტკენისაგან; და ხანგი დროებით კანის
ნერვების შეკიწროვებისაგან, მაგალ. როცა ფეხი დაგვი-
ბუჟდება ხოლმე, ე. ი. როდესაც მოვიკეცთ ფეხსა და
ვაწვებით იმის ნერვებსა, მაშინ ფეხი რამდენსამე მინუ-
ტს უგრძნობელად არის ხოლმე როგორც ხე და როდესაც
გრძნობას მოდის და იმის ნერვები დაიწყებენ მოქმედება-
სა. (*) მომრავნი ნერვები კუნთების მოძრაობასა შველი-

---

(*) ცქერის ნერვები აცნობებენ სინათლის გრძნობასა.
თუ ეს ნერვები; ან ის თავის ტჳნის ადგილი, საიდგანაც
ეს ნერვები გამოდიან, როგორც წინათ მოვახსენეთ, ის-
რე წამხდარნი არიან, მაშინ კაცი ვერას დაინახავს, თუმცა
თვალებიკი კარგათ და მთელათ ექნება; ამ თვალის ნერ-
ვებს დამბლას შავი წყალი ჰქჳან. იმის დროს კაცს თვა-
ლები წმინდათა აქჳს, გარსები და თვალის სითხეები
მთელი აქჳს, თითონ კაციკი სრულებით დაბრმავებულია.
ეს სიბრმავე ხშირათ თავში სისხლის ავარდნისაგამო მო-
ხდება ხოლმე, თავის ნატკენობის გამო, აგრეთვე ძლიე-
რის გაკაშკაშებულის სინათლისაგან. აქ ნერვები ადარ

ან. კუთებმა, რომ როგორც უნდა, ისრე სწორე და კარ-
გათ იმოქმედონ მრთელ ტანში, უნდა, რომ ზურგის
ტჳნიც და ნერვებიც, რომელნიც იქიდგან კუთებში მიდიან
მთლათ და უვნებლათ იყვნენ, თორემ კუთები ან სრულე-
ბით არ იმოქმედებენ და ან თუნდ იმოქმედებენ, მაგრამ
უსწოროთ, ჩქარათ და სრულებით უწესოდ, მოძრაობის
დაბრკოლებას, რომელსამე ტანის ნაწილში, ჰქჳან მოძ-
რაობის დამბლა და უსწორო, უწესო მოძრაობას ჰქჳან
ფილენჯის ქარი. მოძრაობის დამბლა ისეთი სნეულებაა,
რომლის დროსაც, რამდენსაც უნდა ვეცადნეთ, არ შეგვი-
ძლიან მოვატრიალოთ ის ადგილი, ამისათჳს რომ ან
მოძრავნი ნერვები, რომელნიც ამ ადგილას მიდიან, წამ-
ხდარნი იქნებიან და ან ის ზურგის ტჳნის ადგილი, სა-
იდგანაც ეს ნერვები იწყობიან. საკუთრივ ეს სამძიმო

---

მოჰქმედებენ, კჳდებიან, — და ამ საქმის გასწორება ე. ი.
თვალის სინათლის დაბრუნება მომეტებული ნაწილი მო-
რჩენა ძნელათ შეიძლება ხოლმე. შავი წყალი ნელ-ნელა
იწყობა და ჯერ კაცს თვალწინ ებლანდება, თვალწინ ბუ-
ზები, სხჳა და სხჳა შავი მფრინავნი, ლაქები, რომელ-
ნიც თვალწინ სრულებით არ არიან, ეს ამისათჳს ებლან-
დება, რო უცებკი არა კჳდება, არამედ ადგილ ადგილ
და მკჴდარი ადგილი სინათლეს ვერ ატარებს; ტჳნსკი
ჰგონია, რომ ამ ადგილიდგან შავ ლაქას ხვდებაო. ამ
გვარი სნეულება — გრძნობის დამბლა სმენის ორგანებსაც
დაემართება — მაშინ კაცი დაყრუვდება და მომეტებული
ნაწილიკი მთელ თავის სიცოცხლეში.

სნეულება ხშირათ ხერხემლების ტკენისაგან მოხდება ხოლმე, რომლისგამო დაიწყებენ ლპობასა, დაშლასა, ტჳნს აწვებიან და ტჳნიც მიწოლისაგან ნერვის ძალას ჰკარგავს და კუთებს ველარ გამართავს, როგორც უნდა და ვერც ამოძრავებს. კუთები აღარ მოქმედებენ, გაზანტდებიან, გახდებიან და ძვლები თითონვე თავის ადგილიდგან ინძრევიან. გვერდზედ მიდიან —აქედგან კუზიანობა წარმოსდგება, მხარ მრუნდობა, ხელ ფეხის მოგრეხა, თუ ზურგის ძვალი იმ ადგილას წახდება, საიდგანაც ნერვები კუთებთან მიდიან, რომელნიც შარდის ბუშტსა ჰფარვენ ანუ უკან გასავალსა, მაშინ კუთები მაგრათ ვერ შეიკუმშებიან და შარდი, როგორც საქმობა, კაცს ისრე უმის ხდომოთ დაუწყებს დენასა: კაცი ვერ შეიმაგრებს, რაც უნდა ძალათი მოინდომოს, და მომეტებული ნაწილი თითონვე, ვერა გრძნობს როდესაც ემართება ხოლმე.

ტკენის გარდა კაცს დამბლა გაციებისაგან დაემართება. ეს სნეულება უმაწვილებს დაემართებათ ხოლმე, თუ ცივ დროს ცივ ფანჯარაზედ დასვეს, სადაც გავლილი ქარია, რომელიც პირდაპირ უმაწვილის ზურგსა ბერავს და ზურგის ტჳნის ანთებას აჩენს. ჭლექის გვარი სენი ზურგის ტჳნისა ისეთი სნეულებაა, რომლის მიზეზით ტჳნი ხდება, ხმება, ცოტავდება, და მოძრაობის დამბლის მიზეზსათაც გახდება ხოლმე, და თჳთონ ჭლექის გვარი სენი გარყვნილ კაცებს დაემართებათ ხოლმე. რომელნიც ძალიან ადრე და უზომოდ სიძვას მიეცემიან ხოლმე.

ფილენჯის ქარი ისეთი სნეულებაა, რომლის დროსაც

ჭუოები მრუდეთ ძალიან ჩქარა დაჰტარავდებიან, რომლის გამო მთელი ტახი განკალს დაიწყებს, ფეხში ჩამოუვა და პირზე შეეტყობა დაჩქლეთილი ხორცის კონები. აქ ზურგის ტჳნის სიწამხდრის საქმეა, რომლის დროსაც ძალიან შეწუხებული იქნება ვისგანმე და ნაწვალევი, ასე რომ ეს წვალება და შეწუხება ყოველ მოძრავ ძარღვებში გადადის. ფილენჯი საკუთრივ ხშირათ პატარა ბავშვებს დაემართებათ ხოლმე (ამას უბრალოთ მსუბუქ ბნედას, ეძახიან,) რომელთაც ხნიან კაცებზედ. მომეტებულთათ აქჳთ წახდენილი თავის და ზურგის ტჳნი. ხნიან კაცებს დაემართებათ ხოლმე ხშირათ ერთგვარი ფილენჯის გვარი სნეულება, რომელსაც ბნედას ეძახიან; იმ დროს კაცი უგონოთ დაეცემა. მთელ ტანს ძლდა მიწაზედა სცემს, ხელ ფეხით გლეჯას დაიწყებს და ბოლოს რომ მოიღალება ამ საშინელის მოძრაობისაგან, მერე ღრმა და დიდი ხნის ძილი მოუვა, ყოველი ფილენჯის ქარი კაი საქმე არ არის. იმას საექიმო წამლობა უნდა, მაგრამ ისიც მომეტებული ნაწილი ვერა შველის ხოლმე. ბავშვები ფილენჯისაგან ხშირათ იხოცებიან, ხნიანები კი, რომელთაც ბნედა სჭირთ თუმცა ხანდახან ცხოვრობენ, მაგრამ იმათი სიცოცხლე ძნელია და თუ დიდი ბნედა დაემართათ, შეიძლება სული დალიონ: მე შემიძლიან ერთი დარიგება მოგახსენოთ: ნუ მისცემთ სიმრთელიან ბავშვებს ნებას, რომ ფილენჯიან სხჳა ბავშვებს უცქირონ და ან ბნედიანებსა. ეს იმიტომ, ფილენჯიანს რო უცქერიან, ხშირათ სიმრთელიანები თითონვე იმით ავათ ხდებიან.

ამით ბატონებო ვათავებ ჩემს ლექციებსა. სამკურნალო მეცნიერებანი კარგათ მყოფ და ავათ მყოფ კაცზედ ძალიან ვრცელია. იმათი სასწავლებლათ ექიმებს ხუთ წელიწად უნიშვნენ და მერმე სასწავლებელიდგან რომ გამოდიან მთელ თავის სიცოცხლეში კიდევ სწავლობენ, რომ კაცის ორგანიზმი და იმათი სნეულებანი კარგათ გაიგონ. მე ოც ლექციით მხოლოდა თქვენ გამეცანით კაცის აგებულებაზედ და იმის მოქმედებაზედ და მომეხსენებინა თქვენთვის გასაგონარის და მდაბიურის ენით. ეს საქმე ავასრულე თუ არა, ამაზედ თქვენ განსაჯეთ, მაგრამ მე ამასკი არ ვფიქრობდი, რომ ამ ცოტას ხანში ბევრი შესწავლა თქვენთან, მხოლოდ მე მსურს, რომ ჩემს ლექციებიდგან შემდეგომნი დამტკიცებანი გახსოვდეთ:

**1**) კაცის ორგანიზმი მაშინასა ჰგავს, რომელიც თუმცა კარგათ არის გამართული, გონიერად შედგენილი, მაგრამ მაინც მოიშლება, როგორც ყოველი მომუშავე მაშინა.

**2**) ორგანიზმის საწამხდრე ანუ მოშლა მოითხოვს მაშინვე გასწორებასა, სნეულება მოითხოვს მორჩენასა. სნეულების მორჩენა იმ კაცმა უნდა იკისროს, რომელსაც ესმის და იცის მთელი ორგანიზმის შედგენილობა. მაშასადამე მხოლოდ ექიმს შეუძლიან შეამოწმოს თავის სიმრთელე და თავის სიცოცხლე, ამისათვის რომ მხოლოდ ის დიდხანს და ბევრს სწავლობს სამკურნალო სწავლისათვის. ჩვენ საათი რომ მოგვეშალოს, რომელიც ორი თუმნის მეტი არა ღირს, მაშინვე გამოცდილ მესაათესთან მივარ-

ბენისებთ, რომ გაგვიმართოს. ამას იქით ჩუენი სიმრთელე, ჩუენა სიცოცხლე, რომელსაც ვერა ფულით ვერ ვიყიდით, სოფლის ექიმებს, ქუეყნის მატყუარა მაწანწალებს, მკითხავებს, რომელთაც ორგანიზმის შედგენილობაზედ არა გაეგებათრა, აბა მიბძანეთ, როგორ უნდა ენდოთ?

**3**) ორგანიზმის სიწამხდრე, იმის სნეულებს, მომეტებული ნაწილი გაუფრთხილებლობით მოხდება. მამასადამე უნდა კაცმა თავის სიმრთელის გაფრთხილება იცოდეს, და ამისათჳს საჭიროა ყოველ კაცისათჳს, გაიგოს ტანის შედგენილობა, იმისი საჭიროება; მაშინ ამას, რომ გაიგებს ეცოდინება სიმრთელიანისთჳს. ან სასარგებლო და ან მავნებელი რა არის. მაშ ყველას უნდა იცოდეს კაცის ტანის შედგენილობა და იმის მოქმედება. აქედგან სჩანს, რომ საკჳრველი ისკი არ არის, რომ უბრალო ხალხნი სამკურნალო სწავლას ყურს უგდებენ, არამედ საკჳრველი ის არის, რომ არის ისეთი ხალხი რომელიც ფიქრობს, ეს მეცნიერება, ექიმის გარდა, არავისთჳს საჭირო არ არისო.

**4**) ექიმს, რომ თქუენი სიმრთელე ანდოთ, არ უნდა მაშინვე დაძრახოთ იმ კაცის სიკუდილზედ, რომელსაც ის სწამლობდა. მძიმე სნეულებანი ჩუენის უმთავრესის ტანის ნაწილებისა: ტჳნისა, ფილტვებისა, გულისა, კუჭისა, ხშირათ ისრე ძნელდებიან, ახდენენ ამ ორღანებსა რომ ექიმი, რაც უნდა ეცადოს და კარგათ იცოდეს, ვერას გახდება, ამისათჳს რომ ჩუენი ორგანიზმი თუმცა მაშინაა, მაგრამ იმისთანა არ არის, რომ ნატკენი ორ-

ლანი ამოიღონ და იმის მაგივრად სხვა ჩასვან, რომელსაც კაცის გაკეთებულ მაშინებს ესრე აკეთებენ. ცოცხალ კაცის ტანში ეს არ შეიძლება, —მაგრამ მაინც ექიმები ძალიან ხშირათ იხსნიან სიკჳდილისაგან ფრიად მძიმე ავათმყოფებსა

მე ჩემი საქმე გავათავე. კიდევ ამას მოგახსენებთ, რომ ამის სჯას თქუენზე მოვაგდებ, მაგრამ მე ვხედამდი, რომ ჩემი ლაპარაკი გესმოდათ და გიყვარდათ ყურის გდება ჩემს სწავლაზედ, თორემ ეს ზალა ყოველთჳს სამსე არ იქნებოდა ხოლმე. თქუენ აქ თქუენის ნდომით მობძანდებოდით ხოლმე, და ჩემთან ძალას დაუტანებლად ისხედით და მე ყოველთჳს სიხარულისაგან აღტაცებული ვიყავ, როდესაც გიცქეროდით, რომ მეცნიერებას გიყვარდათ და ჩემს დარიგებას ყურს უგდებდით. ეხლა გმადლობთ სიყვარულისათჳს და გულმოდგინებისათჳს რომლის უკეთესს ჩემს სიცოცხლეში ვერა ვხედავ; უმდაბლესად თავს გიკრავთ ჩემო მეგობრებო! ეხლა თქუენ ცხადად მიუგებთ იმ კითხვაზედა, უბრალო ხალხი გაიგებს სამკურნალო სწავლასა თუ არა, საჭიროა იმათთჳს თუ არა? ამის მოგებაზედ კიდევ ასჯერ თავს გიკრავთ. მშჳდობით, ნახვამდის ბატონებო! თუ ღმერთი შემეწევა, მომავალ წელიწადს კიდევ ამ ზალაში შევიყრებით, და თუნდ არ შევიყარნეთ და ბედმა ჩემმა თქუენი ნახვა დამიმალა, მაშინ მე ყოველთჳს ჩემს გულში შექმნება ყველაზე სასიამოვნო და სასიხარულო თქუენზედ მოგონებანი.

## ორიოდე სიტყვა უ. რანჩევსკის ლექციების შესახებ.

არ არის ეჭვი ვისაც «ცისკარი» მიერთმევათ ხოლმე, წაიკითხავდნენ დიდის ყურადღებით რანჩევსკის ლექციებს, სამკურნალო ჰაქიმობის და კაცის ანატომიის შესახებ,— ეს ლექციები იმ გვარ საგანზედ არის დაწერილი, რომ ყოველთათჳს საჭირო არის იცოდნენ; ეს იმ გვარი ჰსწავლაა, რომელზედაც მრთელი კაცის სიცოცხლე დამყარებულია. ყოველი კაცისათჳს, თავდა პირველად სიცოცხლე არის საჭირო, ყოვლისფერი ამაზედ არის დამოკიდებული; მაშასადამე, ვინ იქნება ჩუენ მკითხველებში იმისთანა, რომ თავის სიცოცხლეს ყურადღებას არ მისცეს. ამ ლექციების მოსმენა უფრო ჩუენ ქართველებისათჳს არის საჭირო; ყველამ ვიცით, თუ როგორ ატყუებენ ხალხს აქაური, სოფლითი სოფლად მოტანტალე ცრუ ჰაქიმები და, რამდენს მიაბარებენ ხოლმე თავიანთ გამოუცდელობით და უცოდინარობით, უდროვოთ, მიწას; ვინც კი ხელში ჩაიგდებს ალა მამადხანის დროს დაწერილს კარაბადინს, თუ ანბანიცარი უსწავლია და ბაბუთი კითხულობს; ის-ის არის, მეტის სიხარულით გადირევა და თავის ჭკუაში პირველი დოკტორი შეიქნება; კარაბადინში რომ ეწეროს. კაცს რომ თავის ტკივილი ჰქო-

ნდეს, მოსჭირით, ეს პირველი დოკტორი კარაბადინით შექმნილა ხუთს მინუტში, დაუფიქრებლად ავათმყოფს თავს გაადებინებს, ისე მტკიცედ დაუმყარებს კარაბადინის დარიგებას. ჩუენი საწყალი ხალხიც: უფრო მომეტებული ნაწილი სოფლელებიც, ემორჩილებიან და ისე მიაჩნიათ, რომ ჯანავოზ ჰაკიმს შეადრიან: იმას კი აღარა ფიქრობენ, ჯანავაზ ჰაკიმის დრო სხუა იყო და ახლანდელი დრო სხუა არის; რაც სენს მაშინ ჰქონდა ძალა, ის ძალა ახლა სრულებით გამოელევია; პირველად რომ ხოლერა გაჩნდა, ხალხს მუსრს ავლებდა, მეორე გაჩენაზედ ცოტათი იკლო და ის ძლიერება სრულებით აღარა ჰქონდა; შემდგომში და შემდგომში ისე იკლო და ისე ძალა გამოელია, რომ ახლა ხველა-სურდოთ გადაიქცა და სურდოსავით ადვილი სახდელი შეიქნა; ყველა იცვლება დროს მიხედვით; ამ ცვლილებასთან ყველა საგანი წარმატებაში მიდის; ჰაკიმობა ისეთი ღრმა საგანია, რომ ამისი სწავლა ადვილი არ არის; ან როგორ შეიძლება ვთქვათ ადვილი იყოს, როდესაც რომ კაცობრიობის სიცოცხლეზედ არის დაფუძნებული, ამ უმთავრეს საქმეზედ. სიყრმითგან, საექიმო სწავლაში არიან ბევრნი; სიყრმიდგან მოდიან თუთქმის ჰაკიმობაში, ყოველ დღე გამოცდილებაში არიან და იმათ უჭირდებათ ზოგი ერთი სენის მორჩენა და, ნუ თუ ხუთს მინუტს დოკტურით შექმნილს, ერთი რაღაცა კარაბადინის ძალით, უბრალო მატანტალა კაცს უნდა ვერწმუნეთ? ან მივანდოთ ართ ერთი ჩუენი საყვარელთაგანი, დედა არის, ძმა, ცოლი თუ შვილი? რამდენს უბედურებას მოსთვლის კაცი, ამ ჰაკიმების წესა-

ლობით შემდგარს? აი, უფ. რანჩევსკიმ, ამ გამოჩენილმა დოკტორმა, ეს სიკეთე შეგვმინა, რომ გაგვაფრთხილა, ყოველი სნეულება დაგვანახვა, მრთელი კაცის სხეულის შედგენილება გვაჩვენა, იქნება, ჩუენი მკითხველი ქალები გვკიცხავდნენ, ამ ლექციების დაბეჭდვისათჳს, რადგანაც იმათ აგებულებაზედაც იყო ლაპარაკი, მაგრამ, რომ დაუფიქრდნენ. დარწმუნდებიან რომ დიდ-სარგებლობას მიუტანს იმათ ეს შემეცნება და, ისე აღარ გაიტანჯებიან, როგორც აქამდინ იტანჯებოდნენ უცოდინარო დედაკაცების წყალობით. სწავლა არავის მოსჭარბდება, რატომ ჩუენმა ქალებმა კი არ უნდა იცოდნენ ჰაქიმობის მცირე ნაწილიცარი, თავიანთ თავისავე სასარგებლოთ; წაიკითხონ უ. რანჩევსკის ლექციები და იქიდამ მიიღებენ ცნობას კაცის შედგენილობაზედ და იმის სნეულებაზედ; ახლა ჩუენ ვიცით საკმაოთ, როგორ შევინახოთ თავი, და როგორის სიფრთხილით მოვიქცეთ, რომ ზოგი ერთი სნეულება ავიცდინოთ. ეს სიკეთე შეგვძლეს უფ. რანჩევსკიმ, რომელმაც გამოსცა თუ არა თავისი თხზულება, ისე დასყიდა, რომ ერთი წიგნიც აღარ დარჩომია; ამას გარდა საქმით გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს და დაიწყეს ლაპარაკი გმაყოფილებითის მხრით.

უფ. რანჩევსკის ლექციებს დიდი მნიშვნელობა მიეცა იმ საზოგადოებაში, რომელშიაცა კითხულობდა. ეს საზოგადოება, რომელიცა დიდის ყურადღებით მოისმენდა საქმით საგანზედ დარიგებას და შემეცნებას, შედგენილი იყო ოთხასის სხუა და სხუა სარწმუნოების პირთაგან. ეს დოკტორი იმ ფავის ლექციებს კითხულობდა ტფი-

ლასის შტაბში, სადაც იმყოფება სამსახურში. როდესაც გაათავა უკანასკნელი ლექცია, უფ. რანჩევსკიმ. ეს ოთხასი მსმენელნი, დამწკრივდნენ შტაბის ზალაში და გამოაცილეს კარებამდინ დიდის მადლობით ერთმა იქ შეკრებილთაგანმა, მოახსენა უფ. რანჩევსკის შესხმა და მიართვა ძჳრფასი სასმელი კათხა, ძჳრფასისავე სინით. რომელნიც მოისმინდნენ ამ ლექციებს, იმათ შეკრიბეს ფული, განგებ ამ ფულით გააკეთებინეს სასმელი კათხა, თავისის სინით და ნიშნად მადლობისა უძღვნეს უფ რანჩევსკის. ამას გარდა შტაბმა დაასაჩუქრა ფულით და ეს თხზულებას თავის ხარჯით დაუბეჭდა თავისავე სტამბაში 800 წიგნი. ეს წიგნები სრულებით დაიყიდა და ახლა მეორეთ აბეჭდინებენ.—როგორც შენიშნეს მკითხველებმა, ამ ლექციებში არა თუ მარტო კაცის შედგენილობაზედ არის და იმის სნეულობაზედ ლაპარაკი,—აქ მოხსენებულია შინაურის ღონის-ძიებით წამლობა, მაშასადამე ძრიელ გამოსადეგი არის ყველა ჩუენის ქართველისათჳს,—უფრო სოფელში, სადაც არც აფთიაქხანა გვაქუს და არც რიგიანი ჰქიმები გვეგულებიან გარაბადინოსების მეტნი. ღმერთმა უშველოს უფ. რანჩევსკის, ჩუენის მხრით მადლობის მეტი არა გვეთქმისრა; ეს უპატივცემულესი დოკტორი ტფილისში იმყოფება ახლა სამსახურში და ბევრი საზოგადოდ კეთილი განზრახვა აქუს. სხუათა შორის ფიქრობს, როგორც ყური მოვკარით, ღარიბ ყმაწჳლებისათჳს სასწავლებლის გახსნას, სადაც სხუათა საგნების შორის, განზრახვა აქუს საექიმო საგანებიც ასწავლოს; რასაკვირველია თუ ჩუენმა საზოგადო-

ქებამაც ჴელი მოუმართა, ჩუჱნ ამ სასწავლებლის გახსნაზედ თავის დროზედ მოვილაპარაკებთ ჩუჱნს მკითხველებთან. მაშინ, როდესაც ეს განზრახვა შესრულებაში მოვა, ბოლოს ამას ვიტყჳთ მხოლოდ, რომ პატივი და დიდება შეშვენის ამ გვართ საზოგადოდ კეთილის მზრუნველთა, —ნათარგმნიც ეს ლექციები, იმ გვარად არის, რომ არა გვგონია გაგება გაუჭირდეს ვისმე; მდაბიო და სახალხო ენით. აქ შეიძლება დაუმატოთ, —თ. გ. მაჩაბელმაც სიკეთე შესძინა ჩუჱნ ქართველებს, რომ ასეთი სასარგებლო წიგნი აჩუქა, —ასი წიგნი ცალკე დაბეჭდინა და ვიმედოვნებთ მალე დაეყიდოს, ან ასი. წიგნი რა არის ქართველებისათჳს. თ. გ. მაჩაბლის სურვილი ეს არის, იმ გაყიდულის ფულით, სხჳა კიდევ სასარგებლო წიგნი სთარგმნოს და დაბეჭდოს არ არის ეჭვი, თუ ასე ჴელს მოუმართავთ ქართველები, ჩუჱნი უმაწჳლი კაცები წახალისდებიან, ბევრს კარგ წიგნებს გვითარგმნიან და ამით წიგნები გაგვიმრავლდებიან: ჩუჱნი ჴელის მომართვაც ამაში მდგომარეობს, რომ რამდენიც წიგნი დაიბეჭდოს ცალკე. თჳთო ორორ შაურს გამოვიმეტებდეთ, ჩუჱნ ეს ორი შაური, ერთი აბაზი და ორი აბაზი არ დაგვაკლდება და საზოგადო საქმე კი წინ წავა. (*)

---

(*) ეს ლექციები ისყიდება, თჳთო მანეთათ, თჳთან ავტორისას, ტფილისის საკეთილშობილო გიმნაზიაში.

# მოულოდნელი შემთხვევა.

## ნამდვილი ამბავი.

რუსეთის სურათების გალერეა მართალია მდიდარი არ არის ალბერტ დიურერის ნახატებითა, მაგრამ ძნელად იპოვება იმისთანა განათლებული კაცი, რომელმაც არ იცოდ-დეს ვინ იყო ეს გამოჩენილი მხატვარი. იმაზედ ერთ-ხელ იმპერატორმა მაქსიმილიანემ სთქვა: «მე ადვილად «შემიძლიან გლეხი კაცი გავაზნაურო, მაგრამ რომ უზ-«დელი გადავაკეთო იმ გვარ გამოჩენილ მხატვრათ, რო-«გორც ალბერტ დიურიერი, ეს არ შემიძლიანო.»

იმ მხატვარს ალბერტ დიურერს ჰყავდა ცოლი, რომლი-სა სიკაპასეს არ ჰქონდა საზღვარი და დარჩა ისტორიათ-ის საზარელი იმისი ხასიათი, რომლითაც სტანჯავდა ის თავისს გამოჩენილს ქმარს.

ის იყო იმისთანავე ძენწი, მამთვოთარი, რომელთაც დაძლევა ვერ ქძლო ვერც სამაგალითო გულკეთილობას და ვერც იმის ქმრისა რკინის მოთმინებას. დიურერი სა-მაგალითო გულს-მოდგინებით მისდევდა თავის მშვენი-ერს ხელოვნებასა და თითქმის ყოველ-დღე აწარმოებდა იმ ჩინებულს სურათს, რომელსაც ახლაც შეტრფიან მრა-

ქალნი. მაგრამ ცოლი იმისი არსად არ აძლევდა მოსვენებასა; ის უყვარდა ქმარს, დასცინოდა და შეურაცხჰყოფდა თითქმის იმისს სამუშაო ოთახშიაც.

როდესაც ლანძღავდა თავის ქმარს უშვერად, მაშინ ჩჳეულებითად ქმრიდამ გადადიოდა იმის საწყალს მოწაფეს სამუილ დიულობრეტზედ.

სამუილ იყო ხნიანი და ამასთანავე მახინჯი კაცი; და შოვობდა თავისთჳს ლუკმას იმით, რომ ხატავდა ოთახებს, რომელიც იმ დროში გერმანიაში იყო დიდი მოდა, და რადგან სამუილ იყო დაბალი, კუზიანი, კნაჩლუნგი, ამისთჳს ხშირად დასცინოდენ სხჳანი მოწაფენიცა დიურერისა. დევნული ამ გვარად როგორც თავისის ამხანაგებისა ისე თავისის მასწავლებლის ცოლისაგან ის პოებდა ხოლმე ნუგეშსა მხოლოდ იმ საათებში, როდესაც ჩუმათ ხატავდა ხოლმე ნიურნბერგის არემარესა. მაშინ მოწყენილი დაღმეჭილი სახე საწყალის მხატვარისა მიიღებდა ხოლმე ახალს სიცოცხლეს, როგორც დამჭკნარი ღამით ყვავილი გაიშლება ხოლმე მზის შუქებისაგან. მწვანეს ბელტებზედ, პორტფელ მუხლ დადებულზედ, ის ხატავდა მშჳენიერს გარდასახედავებს და ატარებდა რა მრთელს დღეს გარეთ, დაბრუნდებოდა ხოლმე ნიურნბერგში გჳან, და ჰფარავდა ყველასთან როგორც თავის სეირნობას ისე თავის მუშაობას; რადგან ის იყო ხოლმე საგნად შეუბრალებელის დაცინებისა, ამისათჳს ფიქრობდა, რომ განაღჳძებდა ამხანაგებში უფრო მომეტებულს დაცინებას და შეურაცხებას, თუ აჩვენებდა იმათ თავის მიხლჳრის შრომას.

და თუ რომ სამუილ შევიდოდა სამუშაო ოთახში მაშინ დარჩებოდა ხოლმე იქ საღამომდინ. მერე შევიდოდა ხოლმე თავის პატარა ოთახში და ხატავდა ტილოზედ ყოველსავე რაცკი იმას მოეწონებოდა ხოლმე მინდორში. რომ ეშოვა იმას სახატავი წამლები და სახატავი კალამი მეტი გზა არ იყო უნდა მოეთმანა ბევრი რამ ნაკლულევანება, და თითქმის ხან და ხან ჰპარავდა იმათ თავიანთ ამხანაგებს; ასე ძლიერად უყვარდა თავის მშვენიერი ხელოვნება.

ამ სახით სამუილ სამი წელიწადი შრომობდა ზედა ზედ და ხატავდა სხვა და სხვა რამეებსა და ეს ვერ შეუტყუეს ვერც მასწავლებლებმა და ვერც ამხანაგებმა. მაშ რით არჩენდა თავის თავს იმ დროს, ის იცის მხოლოდ ღმერთმან და თვით სამუილმა!

ერთხელ ის გახდა ავათ ციებით და ერთის კვირის განმავლობაში იწვა ხმელს ფიცარზედ, ვერავისგან გამგონი ვერც შებრალებისა, ვერც მონაწილეობისა. დავიწყებული ყველასაგან, მგრძნობი, რომ მოახლოვებულიყო უკანასკნელი დღე იმისი, მშიერი, ადგა, როგორც იყო, აარჩია ერთი უმჯობესი თავისი სურათი და წაიღო მეზობლის მაღაზიაში გასასყიდლად. მაგრამ შეხვდა, რომ ერთს ადგილს მრავალს კაცს შეეყრია თავი, მივიდა და სცნა, რომ იქ იყიდებოდა აუკციონით სხვა და სხვა ნივთები და იმათ რიცხვში სურათებიც ერთის კაცისა, რომელსაც ოცდა ათის წლის განმავლობაში დიდი მეცადინეობით შეეკრიბა. სამუილმა განვლო ხალხი, მივიდა დამფასებელთან და დიდის მეცადინეობით დაითანხმა

რომ შეიტანოს იმისი სურათიც აუქციონში. დამფასე-ბელმან დასდო მას ფასი სამი ტალერი (სამი მანეთი). კარგია, სთქვა სამუელმა გულში, სამი ტალერი ერთი კვრას პურისათვის მაინც მეყოფა, და თუ ყოველთვის ვიშოვე ამ გვარი მყიდველი ჩემის სურათებისა, კარგა ხანს გამოვზრდი თავსა. კარტინა სამუილისა აიღეს ხე-ლში, დაუწყეს შინჯვა, ასე რომ სულ შემოუარეს ვინც იქ იდგნენ, და დამფასებელიკი იძახდა ხმა გრძლივ: სამი ტალერი, ვინ მოუმატებს ?

ყველანი ჩუმათ იდგნენ. ღმერთო ჩემო! სთქვა კვნე-სით სამუელმა, რომ არ გაიყიდოს ჩემი სურათი, რა მე-შველება; თუ ეს არ გაიყიდა, რომელიც უმჯობესია ყველაზედ ჩემს სურათებში, სხვა უფრო ხომ სულ არ გაიყიდება .

ახა შეხედოს კაცმა იმ მხატრობას, თითქო ქარი უბე-რავსო ტოტებს იმ ხეებისას, რომელნიც იქ არიან გა-მოხატულნი, თითქო ფოთლები ინძრევიანო, თრთიან და ხმაიანობენ, წყალი თითქო მართლა მიმდინარებს: აი მდინარე პრეგნიცი, ანკარა, მშვენიერია, ნაყოფიერი. რა-მდენი სიცოცხლეა იმ ცხოველებში, რომელნიც მიეშუ-რებიან იმ მდინარეზედ წყლის დასალევათ! ხოლო იქ შორს რა მშვენიერი შესახედავია! იქ სამრეკლო ნეიერბე-გის! ის მშვენიერნი შენობანი! ამ სიტყვებს ამბობდა თავისთვის ბუტბუტით.

ოცდა ხუთი ტალერი! დაიძახა სუსტმა ხმამ და მით შეარყია სიხარულით სამუილი.

ის შედგა ფეხის თითებზედ და ცდილობდა დაენახა,

თუ ვინ წარმოსთქუა ეს დალოცვილი სიტყვები. და წარმოიდგინეთ იმის განცჳფრები, როდესაც იმან შენიშნა, რომ ის იყო მაღაზიის პატრონი, ვისთანაც პირველად, სამუელს უნდოდა მიეტანა თავისი სურათი გასასყიდათ და, როდესაც კეთილმა ანგელოზმა შეაყვანა და აგონა მიეტანა აუკციონში.

ორმოცდა ათი ტალერი! დაიძახა მაღალმა ხმამ.

სამუელ შეკრთა უცებ, მზა იყო დაეკოცნა ის მსხვილი კაცი, შავი სერთუკიანი, რომელმაც წარმოსთქუა ეს კურთხეული სიტყუები.

ასი ტალერი! სთქუა მაღაზიის პატრონმა ხრინწიანის ხმით.

ორასი ტალერი!

ოთხასი ტალერი!

ათასი!

მაშინ ზალაში შეიქმნა დიდი მდუმარება და სულ ყველა შემოეხვა გარშემო ორს კაცს, რომელნიც ექიშპებოდნენ ერთმანერთს და შეჰყურებდნენ ერთი მეორეს, როგორც ორი ფალევანი; სამუელს მაშინ ისე დაუძრა ტვინი, რომ ეჩვენებოდა ეს სიზმრათ.

ორი ათასი ტალერი! დაიძახა კიდევ მაღაზინჩიკმა.

ათი ათასი ტალერი! დაატანა ზედ სქელმა კაცმა გაწითლებულმა ჯავრით.

ოცი ათასი ტალერი! წარმოსთქუა საჩქაროდ გაუჯოლებულმა მაგაზინჩიკმა.

სქელ კაცს ჩამოსდიოდა ამ დროს წურწურით ოფლი და იწმენდდა ხელცახოცით, მაგრამ დაიძახა კიდევ ორ-

მოცი ათასი ტალერი!

აქ მაგაზინჩიკი გაჩუმდა ცოტას ხანს, და დაფიქრდა. ბოლოს გადახედა მოწინააღმდეგეს და შეხიშია, რომ ის თითქო დასცინოდა და ამისათჳს დაიძახა: ორმოცდა ათი ათასი! ზალაში შეიქმნა კიდევ მეტი მდუმარება, ამიტომ რომ აქ სქელი კაცი დაფიქრდა ძლიერათ.

სამუელ რაღას შჳრებოდა იმ დროს? ის ცდილობდა გამოეღჳძა იმ ტკბილის სიზმრისაგან, ამიტომ რო, როგორც თითონ გონებდა, იმის შემდგომ სიღარიბე თავისი ეჩვენებოდა იმას უარეს და საშინელ. ამ დროს დაიძახეს სამოცდა ათი ათასი!

მეორემ ასი ათასი!

კიდევ პირველმა ას ოცდა ხუთი ათასი!

მე ვაძლევ მაგ სურათში იმას, რაც მანდ დახატულია, ესე იგი, ნამდჳლს კაპიოში. მაშინ მაღაზინჩიკმა დაღუნა თავი და გავიდა ზალიდამ შეწუხებული. სქელმა კაცმა აიღო კარტინა და წაიღო დღესასწაულებით. ამ დროს გადუდგა წინ კუზიანი, კოჭლი და ძაძაში ჩაცმული სამუელ; სქელს კაცს ეგონა, რომ ის იყო გლახა და გადუგდო იმას რაღაც წვრილი ფული.

უკაცრავათ, უთხრა სამუელმა, მე გლახა არ გახლავარ; მე ვარ მაგ კარტინის დამხატავი; და როდის შემიძლიან შევიდე ჩემის მამულების მფლობელობაში, ჩემის მიწა-წყლების, ციხე დარბაზისა, რომელიც თქჳენ მაგ სურათში მიეცით. და თითონკი ფიქრობდა გულში: ღმერთო, განაგრძე ეს ჩინებული სატრფო სიზმარი!

სქელი კაცი იყო ერთი უპირველესი მდიდართა-

გ ნი გერმანიაში, გრაფი დუნ კლისბახი და, ამოიღო რა პორტფელიდამ ქაღალდი, დასწერა ზედ რამდენიმე სტ-რიქონი, მისცა სამუელს და უთხრა; აი ჩემო მეგობარო, წაიღე ეს ქაღალდი და მაგ ბძანებით შენ ჩაგაბარებენ შენს საკუთრებას—ვრცელ ადგილ-მამულს, მშვიდობით!

სამუელმა ბოლოს ძლივ დაარწმუნა თავი, რომ ის არ იყო სიზმარი, და მოხდა ყოველივე ნამდვილად, ის შეიქმნა მფლობელი მდიდარის ადგილ-მამულის და ციხე დარბაზისა.

ის სურათი დიდხანს იმყოფებოდა გრაფის დუკლის-ბახის კაბინეტში. ეხლა ის კარტინა, არავინ იცის რა-მიზეზით ბავარიის კოროლს ეკუთვნის და უკიდია საკუ-თარს კაბინეტში.

ბ. დიდებულიძე.

## რედაქციისაგან.

ამ ნუმერს შჳდის თაბხით გათავებთ, რადგანც იანვრამდინ მოვალენი ვართ გაუსწორდეთ **1863** წლის «ცისკარზედ» ჴელის მომწერთა, — შჳდ თაბახზედ ნაკლებსკი არასოდეს არ გამოუსცემთ. მამავალს წელიწადს თუ საზოგადოებაც მოგვეხმარა, ათ თაბახზედ ნაკლები ვეცდებით არ გამოვიდეს და, ვიმედოვნებთ არცა სტატიებით დაგვრჩნენ მკითხველნი უკმაყოფილოდ. — ამას გარდა ამ თჳთგან ვბეჭდავთ მომავალის **1864** წლის «ცისკარზედ» ჴელის მომწერთა სიას, და რამდენნიც მოგვემატებიან, იმდენს ყოველ თვე და თვე მოვიხსენიებთ. ამ სიის დაბეჭვდის აზრი ის არის, რომ შეიტყონ მკითხველთ თუ რა ღონისძიებით გამოდის ჩვენი ჟურნალი. ამ წლის ხელის მომწერთ რიცხჳ ხომ იციან მკითხველთ, რადგანაც თავის დროზედ დაიბეჭდა.

### სია.

მომავალის **1864** წლის «ცისკარზედ» ჴელის მომწერთა.

1. თ. გრიგოლ ორბელიანი
თ. გიორგი მუხრანსკი
თ. გიორგი რამ. ერისთავი

თ. რევაზ თარხანოვი.

თ. იოსებ არღუტინსკი

თ. ივანე ალ. ანდრონიკოვი

თ. მამუკა ორბელიანი

თ. ალექსანდრე გრუზინსკი.

თ. ალექსანდრე აფხაზოვი.

10. თ. ზაზა ციციანოვი.

ქნ. მარიამ შავშავაძისა

თ, ილია თარხანოვი

თ. ალექსანდრე ჯავახოვი

იაკობ ზუბალოვი

სოლომან ყორღანოვი

სჳმონ ზუბალოვი

დავით ჩაჩიკოვი

დავით ფორაქოვი

ქეთევან დალინსკისა

20. გრიგოლ აივაზოვი

ბარბარე ტერგუგაზოვისა

თ, გიორგი ანდრონიკოვი

ქუთაისში.

სტეფანე აკოფოვი.

გენერ. გუბ. კანცელარია.

გორში.

25. კონსტანტინე მამაცოვი

## სხუა და სხუა ამბავი.

1.—მოულოდნელი შემთხვევა.—გ. დიდებულიძისა. 2. რე-დაქციისაგან.—3, სია 1864 წლის «ცისკარზედ ჴელის მომწერთა.

---

# ჴელი მოეწერება

## 1865 წლისა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქ-ციაში, კუკიას კერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში გაუ-გზავნელად ექუსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით, ანუ სხუა ადგილებში გაგზავნით: შჳდი მანეთი თეთრი ფული.

რედაქცია ჰსთხოვს «ცისკრის» ჴელის მომწერ-თა, ვისაც ჟურნალი დააკლდეს ჱ დროზედ არ მიუვიდეს, მაშინვე აცნობოს რედაქციას, ესრეთის ზედ წარწერით:

«ცისკრის» რედაქციაში, ტფილისს. —

Дозволено цензурою. 1865. Ноября 30 д. г. Тифлисъ.